ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 15 დეკემბრამდე

გამოიწერეთ, უგაზეთოდ არ დარჩეთ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 262 (790) · სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1993 წელი. · ფასი 300 კუპონი

პირველი სვეტი

პარლამენტის წევრთა უმრავლესობის შეკრება

13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მორიგი შეკრება, რომელზეც განიხილეს უმრავლესობის საქმიანობის ორგანიზაციული საკითხები და დასახეს მომავალი მოქმედების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

შეკრებაზე გამოსულ პარლამენტის წევრთა აზრი ერთი იყო — საჭიროა პარლამენტის საქმიანობის საერთო, ძირეული სრულყოფა; მოსაგვარებელია თვით სხდომებზე დასწრებისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხებიც; საჭიროა მეტი მუშაობა სხდომების მოსამზადებლად.

◆

საგანგებო რწმუნებულის აპარატი მოსკოვში

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით რუსეთის ფედერაციაში (ქალაქ მოსკოვში) გადაწყვეტილია შეიქმნას ეკონომიკურ და საფინანსო-საკრედიტო საკითხებში მისი საგანგებო რწმუნებულის აპარატი. როგორც ბრძანებულებაშია აღნიშნული, ეს კეთდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის აღდგენისა და მისი შემდგომი გაფართოების მიზნით.

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო რწმუნებულად ეკონომიკურ და საფინანსო-საკრედიტო საკითხებში დაინიშნა ნუგზარ ფიფია.

◆

შეიქმნა აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაცია

აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ კონფლიქტის ზონის დატოვება აიძულა ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომლებიც ამჟამად დროებით თბილისში მუშაობენ. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოლიტიკური გაერთიანება იყო და არის აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო, რომელიც შარშან მაისში შეიქმნა.

12 დეკემბერს თბილისში გაიმართა აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს დახურული სხდომა.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო გარდაიქმნეს აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციად, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ვოცნებობ, რომ ვიხილო, როგორ იბადება ახალი აზრი, საქართველოს ახალი პოლიტიკური აზროვნება!

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთმიმართების კვლევის ცენტრის იდეა ძალიან დროულია

დიდი ინტერესით გავეცანი რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიას — „საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კონტექსტში". მისი ავტორები — ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი და მეცნიერნი — გვთავაზობენ შევქმნათ თბილისში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

რამდენად აქტუალურია ეს იდეა საქართველოსთვის? არის გამართლებული თვით დაყენება ამ საკითხისა ქვეყანაში, რომლის ხალხი დღეს მოკლებულია საარსებოდ ყველაზე აუცილებელს და, როგორც იტყვიან, უკანასკნელ ძალებს იკრებს თავის გადასარჩენად? მეტისმეტი ფუფუნება ხომ არ არის ახალი სამეცნიერო ცენტრის შექმნა ნგრევისა და შიმშილის დროს, როცა ღრმა კრიზისიდან გამოსვლის გზები ჯერ კიდევ არ არის გამოძებნილი?

ამგვარი კითხვები უთუოდ მრავალ ჩვენს თანამემამულეს დაებადება. მეც დამებადა ეს კითხვები და მათზე პასუხის ძიებამ შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა.

თვით ეს იდეა, მისი გაჩენისა და ჩამოყალიბების ფაქტი, ავტორთა წრე, მათი აზროვნების დონე მეტყველებს, რომ ჩვენ, როგორც ერს, ეთნოსს გვაქვს გადარჩენის შანსი. არაფერია დაკარგული, ყველა პრობლემა გადაილახება თუკი მუშაობს აზრი. აზრს შეუძლია დაამარცხოს უხეში ძალის კულტი, უმეცრობა, აბსურდი.

იდეის ავტორები საქართველოს ისტორიული ტრადიციის ერთგულნი არიან. ჩვენი წინაპრები ხომ სამშობლოსათვის ყველაზე მძიმე ჟამსაც კი ფიქრობდნენ აღმშენებლობაზე. ეს ფიქრი სძენდათ გაძლების, გამარჯვების ძალას. სწორედ ამგვარი ფიქრის ნაყოფია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის იდეა.

იდეის ავტორებს ღრმად აქვთ გაცნობიერებული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესები, ეყრდნობიან სამეცნიერო, ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს. შევხედოთ შემოთავაზებულ იდეას პრაქტიკული თვალსაზრისით. თუ ქვეყანაში არაფერი იქმნება, თუ ქვეყანა მოცულია დესტრუქციით და ქაოსით, თუ მთავარ ფიგურად სოციალურ-პოლიტიკური ინტერიერისა ხდება შეიარაღებული მოძალადე, ასეთი ქვეყანა განწირულია სიმარტოვისთვის, იზოლაციისთვის ცივილიზებული სამყაროს მხრივ. ხოლო თუ ქვეყანა, მიუხედავად წიაღისეული საბადოების სიღარიბისა, ავითარებს სულიერ, ინტელექტუალურ ძალებს და შესწევს უნარი შესთავაზოს მსოფლიოს კონკურენტუნარიანი იდეები, მას გარანტირებული აქვს თანასწორუფლებიანი წევრის სტატუსით ჩაბმა საკაცობრიო ცხოვრებაში, გარანტირებული აქვს წარმატება და აყვავება. ამისი დასტურია ბედი მრავალი დიდი თუ მცირე ქვეყნისა, რომლებიც განიცდიან მატერიალური რესურსების დეფიციტს, მაგრამ სამეცნიერო აზრის განვითარების გზით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს, აღორძინდნენ. აღადგინეს მეორე მსოფლიო ომისგან იავარქმნილი ქალაქები და სოფლები.

ასეთსავე ბედს ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს და ამ კონტექსტში განვიხილავ ყველა, თუნდაც ოდნავ ღირებულ ახალ იდეას. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეროვნული მესიანიზმი, იზოლაციონიზმი აბსოლუტურად უპერსპექტივო და დამღუპველია.

ყოველივე ამაზე ბევრს ვფიქრობდი, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ვქმნიდი საგარეოპოლიტიკურ ასოციაციას. იმჟამად ყოფილ კავშირში ალტერნატიული აზროვნება მხოლოდ ფეხს იდგამდა. ჩვენ პრაქტიკულად ცარიელ ადგილზე ვიწყებდით. ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია დასავლეთის მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი კვლევის ცენტრების უდიდესმა გამოცდილებამ. მე გავეცანი ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის ინსტიტუტს, ბრაუნის უნივერსიტეტის უოტსონის სახელობის ინსტიტუტს, კარტერის ცენტრს ემორის (ქ. ატლანტა) უნივერსიტეტთან, ჰუვერის მშვიდობის, ომისა და რევოლუციის ინსტიტუტს, კარნეგის ფონდს, ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის პოლიტიკურ ცენტრებს. გავეცანი აგრეთვე სამეცნიერო ცენტრებს ბონში, რომში, გორიციაში. შევისწავლე მათი საქმიანობა, დავდე სათანამშრომლო ხელშეკრულებები.

ყველა ეს სამეცნიერო დაწესებულება, პირველყოვლისა, ზრუნავს იმაზე, რომ მათი შრომის ნაყოფი პრაქტიკულად იქნას გამოყენებული. თავის მხრივ, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ დაინტერესებას იჩენენ აღნიშნულ დაწესებულებათა თეორიული მონაპოვრებისადმი. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რაოდენ ფართოდ გამოიყენება კარტერის ცენტრის რეკომენდაციები შინაგანი კონფლიქტების მოგვარებისა და ტელეინფორმაციის თავისუფლად გაცვლის საქმეში.

გარკვეულ მიზეზთა გამო სამშობლოს განშორებული, ვოცნებობდი იმ დროზე, როცა საშუალება მომეცემოდა საქართველოს სამსახურში ჩამეყენებინა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და პოლიტოლოგიური აზრის მიღწევები. დღეს დადგა ამის დრო. მაგრამ ხელს გვიშლის წარსულის მძიმე მემკვიდრეობა — ნგრევა, ქაოსი და მაინც არ ვკარგავ იმედს. წინადადება, რომელიც შემოგვთავაზა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა, და განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ მათ შორის არის უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, იძლევა ჩემი დიდი ხნის ნაფიქრალის განხორციელების საშუალებას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთმიმართების კვლევის ცენტრის იდეა ძალიან დროულია. ცენტრისათვის შერჩეული ადგილიც — თბილისი, საქართველო — აბსოლუტურად ზუსტია ყველა თვალსაზრისით. მხოლოდ ამასაც შეუძლია მიიპყროს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება, რომ აღარაფერი ვთქვათ კვლევის განცხადებულ პრობლემატიკაზე, რაც უაღრესად აქტუალურია ახალი მსოფლწესრიგის ფორმირების პირობებში. ქართველთა ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ტოლერანტობის ფენომენი კვლავაც არსებობს, მიუხედავად პროვინციული რადიკალიზმის ამოფრქვევისა უკანასკნელ წლებში, და ეს ფენომენი არა მხოლოდ უნდა შევისწავლოთ, გავიზიაროთ, არამედ უნდა ჩავაყენოთ დღევანდელობის სამსახურში. საგარეო ურთიერთობათა სფეროში ცენტრს შეუძლია შეიმუშაოს გზამკვლევი ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ახალი პრობლემები, წარმოშობილი მსოფლიო ძალთა ბიპოლარული ბალანსის დარღვევის შედეგად. ხოლო „შინაურ" სიტუაციებში ზემოაღნიშნული ფენომენი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციული ფასეულობების აღორძინებას და საზოგადოებრივი თვალსაზრისის განთავისუფლებას მახინჯი, ავადმყოფური მითებისაგან.

ცენტრისათვის საჭირო სამეცნიერო ძალები, ბაზა და შესაძლებლობანი საქართველოს აქვს. არის შანსი მოვიწვიოთ თანამედროვეობის გამოჩენილი მოაზროვნეები, დავიხმაროთ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრები და ფონდები.

პირადად მე გპირდებით, რომ გადავცემ ცენტრს ყველა ნაშრომს, მასალას, მათ შორის საარქივოს, გამოვიყენებ ჩემს ყველა კავშირს და საერთოდ მაქსიმალური ძალისხმევით ჩავებმები ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეში.

ვოცნებობ, რომ ვიხილო, როგორ იბადება ახალი აზრი, საქართველოს ახალი პოლიტიკური აზროვნება. ამიტომ ვთხოვ ცენტრის დამფუძნებლებს, მოიზიდონ ახლებურად, მწვავედ, არაორდინალურად მოაზროვნე ახალგაზრდები. ეს თაობა უკვე გამოსულია. თუ მან ჯერჯერობით ვერ შეძლო სრულად გამოევლინა თავისი პოტენციალი, ამის მიზეზია უქონლობა ასპარეზისა, ნიჭის რეალიზების საშუალებისა. დაე, ცენტრი გახდეს ერთ-ერთი ასეთი ასპარეზი.

მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც მონაწილეობს ამ მშვენიერი იდეის განხორციელებაში და ვუსურვებ მათ დიდ წარმატებას.

ედუარდ შევარდნაძე

ედუარდ შევარდნაძე:

წესრიგის აღდგენა და კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღება ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღებია

ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თანამედროვე რუსეთის ისტორიაში 12 დეკემბრის მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ საუბრით დაიწყო:

— რა თქმა უნდა, გუშინდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, მნიშვნელოვანი იყო ეს დღე ჩვენთვისაც. დარწმუნებული ვარ, ბევრი, ვისაც კი ჰქონდა ამის საშუალება და მიეწოდებოდა ელექტროენერგია, ალბათ, გათენებამდე ვერ მოსცილდა ტელეეკრანს. არ ვაპირებ დეტალური ანალიზის გაკეთებას. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში პირველი სიტყვა თვით რუსეთის ხელმძღვანელობამ და მისმა პრეზიდენტმა უნდა თქვან. მაგრამ რამდენიმე სიტყვით მაინც ვიტყვი: მიმაჩნია, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. თუ წინასაარჩევნო კამპანიის ანალიზს გავაკეთებთ, განსაკუთრებით, 3-4 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, ვფიქრობ, რომ ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია. თუ ვილაპარაკებთ მთავარ პოზიტიურ მხარეზე, რუსეთისათვის ისტორიული მნიშვნელობის შედეგზე, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება სხვა ქვეყნებისათვის, ეს არის კონსტიტუციის მიღება. როგორც წინასწარი მონაცემებიდან ჩანს, კონსტიტუცია მიღებულად უნდა ჩაითვალოს. ეს რუსეთის დემოკრატიის უდავოდ დიდი გამარჯვებაა, რასაც ვერ დაჩრდილავს ხმის მიცემის შედეგები, როგორიც არ უნდა იყოს იგი და საკანონმდებლო ორგანოებში ადგილების განაწილება.

მინდა მივულოცო პრეზიდენტ ელცინს, მეგობარ რუს ხალხს ამ დიდი მიჯნის გადალახვა — მხედველობაში მაქვს კონსტიტუციის მიღება.

რაც შეეხება არჩევნებს, მე ძალიან არ გავვრცელდები და მხოლოდ ორი სიტყვით შემოვიფარგლები: ეს მოვლენა ყველასთვის გაკვეთილია, გაკვეთილია ჩვენთვისაც. ჩვენში ყველაზე საშინელი დესტრუქციული ძალა, რომელსაც მე პროვინციული ფაშიზმი და შავი ძალა ვუწოდე, პრინციპში დამარცხდა. ახლა არენაზე შეიძლება სხვები გამოვიდნენ, სხვა ხელმოცარულები გაერთიანდნენ. როცა არჩევნების გაკვეთილზე ვლაპარაკობთ, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ამასთან, როცა ვამბობ, მოულოდნელი არაფერი მომხდარა-მეთქი, ვგულისხმობ ჩემს კოლეგებსა და თანამოაზრეებთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოში ძლიერი პოლიტიკური ძალის შექმნის შესახებ, მხედველობაში მაქვს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. ეს ძალა თავისთავად კონსტრუქციული და პოზიტიური ძალა იქნება. ამავე დროს, იგი უნდა დაუპირისპირდეს და დაუპირისპირდება კიდეც იმ ძალებს, რომლებთაც ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში არ სურთ ითანამშრომლონ ყველასთან, დაუპირისპირდება, მათ, ვინც დაადგება ავანტიურისტულ გზას, ისეთს, როგორსაც ჩვენი პროვინციული ფაშიზმი და მისი მესვეურები დაადგნენ.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირზე მე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ და მოვუწოდებ ყველას, ვისაც გარკვეული ინტერესი აქვს, ნუ დააგვიანებენ, განსაზღვრონ თავისი პოზიცია. ეს ძალა ითანამშრომლებს ყველასთან, ვინც იბრძვის საქართველოში დემოკრატიისა და ქვეყნის გადასარჩენად

ვიმეორებ, რუსეთში ჩატარებული არჩევნების ჩემი მთავარი კომენტარია: გუშინდელი მოვლენა — ეს არის გაკვეთილი ყველასათვის.

გასული კვირის საინტერესო მოვლენებზე, რაიონის გამგებლებთან, უწყებათა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებთან შეხვედრების შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— რაც შეეხება გამართულ შეკრებებს, ერთხელ კიდევ მინდა გავუსვა ხაზი: ახლა წესრიგის აღდგენა და კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღება ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღებია. მე როდი ვამბობ, რომ ამით დღესვე აუვავდება საქართველო. მაგრამ, იგივე პურის ნორმირებული განაწილება თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სხვა ქალაქებსა და რაიონებში. როგორც ნახეთ, დადებითი მოვლენაა და ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ელემენტარული წესრიგი არ დამყარებულიყო. მოგეხსენებათ, რომ იყო თავდასხმები პურის ქარხნებზე, მაღაზიებზე, გაიტაცეს პურის გადასაზიდი მანქანები და სხვა. იმის შედეგად, რომ პოლიციამ და, განსაკუთრებით მინდა გამოვყო, თავდაცვის სამინისტრომ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი პურის ქარხნების დაცვას, ვითარება გამოსწორდა. სწორედ ამან მოგვცა საშუალება გადავსულიყავით პურის შედარებით უფრო სამართლიან განაწილებაზე, რათა ადამიანმა ის მინიმალური ნორმა მაინც მიიღოს, რაც დღევანდელ ეტაპზე არსებობისთვის არის აუცილებელი. არ ვამბობ, რომ ეს იდეალური ფორმაა. განა ჩვენ არ ვიცით, რომ 300 გრამი პური ძალიან ცოტაა. ამას ვერც ფქვილის დამატება და საბოლოო ჯამში 480 გრამის გაცემაც ვერ აანაზღაურებს. ესეც მინიმალურია, ესეც ძალიან ცოტაა, მაგრამ ასეთი პირობები მაინც ჯობია, ვიდრე განუკითხაობა, პურის მაღაზიებთან გაურთავებელი რიგები და მთელი რიგი სირთულეები. ეს ერთი მაგალითიც კი იმაზე მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში, ყველა სხვა მიმართულებით შეიძლება უკეთესი ვითარება შეიქმნას, თუ ქვეყანაში აღდგება და დამყარდება წესრიგი. გარდა იმისა, რომ პოლიცია შემართული უნდა იყოს, მან, ასევე პროკურატურამ და უშიშროების სისტემამ, უნდა იმუშაონ საგანგებო წესების მოთხოვნათა შესაბამისად: აუცილებელია მთელი ქვეყანა, საქართველოს მთელი საზოგადოება გაერთიანდეს და დაირაზმოს, რომ ეს სიტყვები მარტო სიტყვებად არ დარჩეს. თავისთავად საგანგებო წესების მეორე ეტაპის გამოცხადება არაფერს ნიშნავს, თუ იგი საქმით არ განმტკიცდა. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას ყველა საშუალება აქვს წესრიგის დასამყარებლად და იგი დამყარდება კიდეც, თუ მთელი საზოგადოება გამოაცხადებს ამ საქმეს ეროვნული მოძრაობის, ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს და უახლოეს ამოცანად. ვიმეორებ, ამისათვის მთელი საზოგადოება, ყველა ოჯახი, საქართველოს ყველა მოქალაქე ფეხზე უნდა დავდგეთ.

13 დეკემბრის რადიოინტერვიუ

პურის განაწილება, ასე თუ ისე, სასურველი მიმართულებით მიდის. თუ ტრასებზეც წესრიგი აღდგება, საქართველოს ეროვნული შემოსავალი, მისი ბიუჯეტი სერიოზულად განმტკიცდება.

გუშინ გამგებლებმა მოითხოვეს, კერძოდ, დედოფლისწყაროს გამგებელმა, რომ როგორმე დაინიშნოს მატარებელი, რომელიც დედოფლისწყაროდან გადმოიყვანს ხალხს თბილისამდე, ძირითადად მათ, ვისაც უნდა თბილისში პროდუქტების შემოტანა და მისი რეალიზაცია. ისიც ითქვა, რომ აზერბაიჯანის მიმდებარე რაიონებს, რომლებიც საკმაოდ მსუყედ ცხოვრობენ, კარგი მოსავალი აქვთ და შეუძლიათ პროდუქტების შემოტანა, მათაც უნდათ დაინიშნოს მატარებელი, რათა შეძლონ თბილისში ივაჭრონ თავიანთი პროდუქტებით. ითქვა ასევე იმის შესახებაც, რომ ნინოწმინდიდან, ახალქალაქიდან შემოსატანია დიდი რაოდენობით კარტოფილი, არის ხორცი, საკმაოდ მაღალი ხარისხის რძის პროდუქტები. ხალხს უნდა თბილისში შემოსვლა და ვაჭრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრასები პრაქტიკულად გაუვალია. ტრასებზე ბარბაროსულ კანონად იქცა ავტობუსების, მსუბუქი მანქანების, მატარებლების ძარცვა. ამიტომაც მიმაჩნია — ეს დღევანდელი საქართველოსთვის პრინციპული საკითხია — რომ ტრასებზე ყოველ მიზეზგარეშე უნდა დამყარდეს წესრიგი. ამისათვის, თუ საჭიროა, მე და პრემიერ-მინისტრიც კი პოლიციასთან ერთად დავდგებით ფიზიკურად ტრასაზე.

გუშინწინ თათბირზე ვთქვი, პოლიციის გარდა ტრასებზე არავინ დავინახოთ-მეთქი. როგორც აღვნიშნეთ, პოლიციაც არ არის მთლად ანგელოზი და მასაც ბევრი ცოდვა აწევს, მაგრამ ერთ სისტემაში უფრო დავამყარებთ წესრიგს. დღეს გამოვცემ სახელმწიფოს მეთაურისა და უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას იმის შესახებ, რომ აეკრძალოს ყველა სისტემას, ვინც უნდა იყოს ის, ტრასებზე დგომა. ეს მხოლოდ პოლიციის საქმეა. პოლიციას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვთხოვე და ამ ბრძანებაში კვლავაც მოვთხოვ, რომ ტრასებზე შექმნილი მდგომარეობისთვის თავად იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა.

— ამ შეხვედრაზე ერთი ასეთი ფრაზაც ითქვა: არ არის საჭირო ღია კარების მტვრევა. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ დგას საბანკო სისტემებში შექმნილი დარღვევების უკან. ხუთშაბათს, პარლამენტის სხდომაზე, ბატონმა თენგიზ სიგუამ წამოსწია ეს საკითხი. კონტროლის პალატის თავმჯდომარე აცხადებს, რომ არსებობს საკმაო მასალები, საზოგადოება ელის, რომ ბოლოს და ბოლოს გაირკვევა, თუ ვის გაჰქონდა კრედიტები უკანონოდ. უამრავი ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რომელი კომერციული სტრუქტურები დგანან ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის უკან, ვისი ხელშეწყობით გადის საქართველოდან სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული და სხვა. ხომ არ მოხდება რაიმე ზეწოლა გამოძიებაზე?

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცას უნდა მოასწროს, ვიდრე არ დაგვიანდება, რაღაც კაპიტალი დააგროვოს. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ღია კარს ამტვრევს-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ გავეცანი წინასწარი შემოწმების მასალებს. ეს ჩემი დავალებითა და თხოვნით გააკეთა კონტროლის პალატამ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ზოგიერთ სხვა ოპერატიულ სამსახურს, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, ასევე ჩემგან ჰქონდათ მიღებული მითითება, რომ დაეგროვებინათ მასალები, თუ რა მოხდა სინამდვილეში ამ სისტემაში. მე წარმომიდგინეს კონტროლის პალატისა და კომისიის წინასწარი შემოწმების შედეგები და მივიღე გადაწყვეტილება ბანკის პრეზიდენტის გადაყენებაზე, სხვათა შორის, მისივე თხოვნით. ამასთან ერთად, დავინიშნე გლობალური გამოძიება. კარგად ვიცი, რომ, ხანდახან, კეთილი სურვილებით ხდებოდა კრედიტების გაცემა, იქნებ ქვეყანაში რაღაცა შემოვიდეს. და როცა ქვეყანაში შიმშილია, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი რამ მოხდეს. თანაც, კრედიტების გაცემა და გადარიცხვები ადრე პერიოდში თითქმის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქვეყანაში ხდებოდა. ამიტომ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საპარლამენტო გნიასსა და დებატებს. მნიშვნელოვანია ის, თუ არსებითად რასთან გვაქვს საქმე, დანაშაულია ეს, თუ ადამიანური შეცდომა, რომელიც ხანდახან კეთილი სურვილებითა და ნებით არის ნაკარნახევი.

ჩემს მიერ მიცემული დავალების შემდეგ სწორედ ამ სფეროში აღძრულია 20-მდე სისხლის სამართლის საქმე. ბევრი რამ გაირკვა. კიდევ უფრო მეტი გაირკვევა და სრული წარმოდგენა გვექნება იმის შესახებ, დანაშაულია ეს, უცოდინარობა თუ შეცდომა. ვფიქრობ, რომ ამის გარკვევის გარეშე პარლამენტს ამ თემაზე მსჯელობა არ შეუძლია. უნდა გაირკვეს ისიც, თუ როგორი ურთიერთობა იყო ბანკსა და მთავრობას შორის, ბანკსა და სახელმწიფოს მეთაურს შორის, რა განკარგულებები იცემოდა. მართალია, ბანკის პრეზიდენტს შეეძლო არ შეესრულებინა არც ერთი განკარგულება, რადგან ეროვნული ბანკი სრული ავტონომიით სარგებლობს და იგი პარლამენტს ემორჩილება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციის დროს ბანკის პრეზიდენტი ანგარიშს უწევს პრემიერსაც, სახელმწიფოს მეთაურსაც. ასეთი რეზოლუციები პრემიერის, ვიცე-პრემიერებისა ძალიან ბევრია. არის ჩემი რეზოლუციებიც თითოეულ მათგანზე პასუხს ვაგებ. ვიცი, რითაც იყო

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის — შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო-ანალიტიკური განყოფილების სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო ანალიტიკური განყოფილების სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით:

შ. გეორხელიძე — პოლკოვნიკი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის — შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო ანალიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე;

ბ. ბეჟენაშვა — პოლკოვნიკი, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი;

რ. ქავთარაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის — შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო მრჩეველი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 8 დეკემბერი, 1993 წ.

პრობლემები გადაწყდება

12 დეკემბერს მოსკოვიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

მოსკოვში მისი არაოფიციალური, სამუშაო ვიზიტის მიზანი საქართველოს ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის ურთულეს საკითხებში რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, საქმიანი წრეების მონაწილეობის შესაძლებლობათა რეალიზაცია იყო.

ბატონი ოთარ ფაცაცია შეხვდა რუსეთის ფედერაციის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრს იური შაფრანიკს, „როსენერგოს" პრეზიდენტს ანატოლი დიაკოვს, „გაზპრომის" თავმჯდომარეს რემ ვიახირევს, სხვა უწყებათა ხელმძღვანელებს. ხანგრძლივი და საქმიანი საუბრების შედეგად, რომლებიც გამოირჩეოდა საქმიანი კონკრეტიკით და საქართველოსადმი გულწრფელი, კეთილი განწყობილებით, მიღწეულია პრინციპული შეთანხმებანი რუსეთის ენერგეტიკული დონორობის მოცულობათა ოპერატიულ ვადებში განსახორციელებლად.

გადაწყდა აგრეთვე საქართველოს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხები.

პრემიერ-მინისტრი შეხვდა მოსკოვის საქმიანი წრეების, ჩვენი სათვისტომოს წარმომადგენლებს, ქართველ ბიზნესმენებს, ლტოლვილებს, განიხილეს და გადაწყვიტეს ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების, ლტოლვილთათვის დახმარების კონკრეტული საკითხები.

ბატონ ოთარ ფაცაციასთან ერთად ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქენერგოს, საქგაზის, რკინიგზის დეპარტამენტების ხელმძღვანელები იური შედია, დავით ელიაშვილი, რემ ვაშაკიძე, რუსეთში საქართველოს ელჩი ვალერიან ადვაძე, დესპანი ოთარ ჩერქეზია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის

ბრძანებულება

კომენდანტის საათის მოქმედების გაგრძელების შესახებ

გაგრძელდეს კომენდანტის საათის მოქმედება ქალაქებში სამტრედიაში, ფოთში, აბაშაში, სენაკში, მარტვილში, ხონში, ხობში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ვანში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში 1994 წლის 20 იანვრამდე.

კომენდანტის საათი იმოქმედებს 20 საათიდან 06 საათამდე.

გივი ლომინაძე,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის

ბრძანებულება

კომენდანტის საათის შემოღების შესახებ

შეიარაღებული ბანდების თარეშის აღკვეთისა და მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების თანახმად, 1993 წლის 14 დეკემბრის 22 საათიდან ერთი თვის ვადით შემოღებული იქნეს კომენდანტის საათი ქალაქ ჩოხატაურში.

კომენდატის საათი იმოქმედებს 20 საათიდან 06 საათამდე.

გივი ლომინაძე,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზურაბ ერქვანიას მამის

დავით ლევანის ძე ერქვანიას

გარდაცვალების გამო.

ედუარდ შევარდნაძე:

წესრიგის აღდგენა და კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღება ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღებია

(დასასრული)

ეს განპირობებული. არც ერთი რეზოლუცია არ იყო ისეთი, გინდა თუ არა გაეცითო. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ მიზანშეწონილია, თუ სასარგებლოა ქვეყნისათვის, თუ რაღაცა შემოვა ქვეყანაში და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი გასარკვევია.

გამოძიების წინაშე დავაყენე ამოცანა: შეამოწმონ არა მარტო 1993 წელი, არამედ 1992 წელიც, რისიც ბევრს ეშინია და, მე მგონი, ამიტომაც ჩქარობენ. ყველაფერი უნდა შემოწმდეს. ვფიქრობ, სწორედ 1992 წელია თანხების გაზიდვის თვალსაზრისით ძალზე საეჭვო წელი. ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაცას ბრალს ვდებ. ან მაშინდელ ხელმძღვანელებს, ან იმათ. ვინც მაშინ პასუხს აგებდა. ყველაფერი უნდა გაირკვეს და პარლამენტს სიმართლე მოხსენდეს. ამიტომ ვამბობ, რომ არ არის საჭირო ღია კარების მტვრევა და ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა.

— გასულ კვირას ამერიკაში საქართველოს თანადგომის ფონდმა ჰუმანური დახმარების ტვირთი ჩამოიტანა — რამდენიმე ტონა მედიკამენტი. როგორც მათ პრესკონფერენციაზე თქვეს, ამერიკაში თქვენი ვიზიტისთვის მოამზადებენ თქვენს შეხვედრებს ამერიკის ფინანსურ წრეებთან. მათ ძალიან დიდი პროგრამა აქვთ. ამ ფონდის შემადგენლობაში სერიოზული პოლიტიკოსები არიან. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ სიტუაციაში საქართველოსათვის რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ დახმარებას?

— ვინც დასავლეთში კარგად იცის ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი ხალხის გასაჭირი, განსაკუთრებით, აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით, ყველა ეძებს გზებს, სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი, კერძო ბიზნესის სახით, რომ საქართველოს დახმარება აღმოუჩინოს. ამასთან დაკავშირებით ჩემს ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ვერ გეტყვით. როდის შედგება იგი, ეს დამოკიდებული იქნება ჩვენში არსებულ ვითარებაზე. თუმცა ასეთი ვიზიტი საქართველოსთვის საარსებოდ საჭიროა. ისევე როგორც ვიზიტი თურქეთში, საფრანგეთში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში, საიდანაც მოწვევები გვაქვს.

ამერიკელების დახმარებას, და ამაზე ბევრჯერ მითქვამს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მილიონების ხორბალი მოგვაწოდეს. გადასაყრელი არავის არაფერი აქვს, გვეხმარებიან იმიტომ, რომ ჩვენ დავადექით დემოკრატიული განვითარების გზას და სჯერათ ჩვენი.

რაც შეეხება ამ კომიტეტის შექმნას — მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. ეს ხსნის იმედია და ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ ჩვენ თვითონ ამ კომიტეტთან, როგორ ინფორმაციას მივაწვდით არსებულ ვითარებაზე. ვერ გეტყვით, რომ ჩვენი საელჩო იქ სამაგალითოდ მუშაობდეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მე ვერ ვგრძნობ ამას. ალბათ აქედანაც ცუდად ვეხმარებით. მხედველობაში მაქვს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო. ახლა ყველა შემართული უნდა იყოს, რითაც შეიძლება დაეხმაროს ქვეყანას. ამ კომიტეტს ძალიან ბევრი შეუძლია. იქ არიან შესანიშნავი მოღვაწეები, ჩემი მეგობრები — ბეიკერი, შულცი, ანდრეასი — ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესმენი ამერიკის შეერთებული შტატებისა, ბიზნესმენი კენტალი, სენატორი კრისტონი, ეიზენჰაუერი და მრავალი სხვა. თუ არ ვცდები, ახლა მათ ედუარდ კენედიც შეუერთდა, ასევე ბზეჟინსკიც. რომელსაც ამ დღეებში აქ ველოდებით. რა თქმა უნდა, ამ ხალხს ბევრი შეუძლია.

ვფიქრობ, რომ მარტო საელჩოს მუშაობაც არ კმარა. სხვათა შორის, ჩვენ ახლა ეკონომიკურ საკითხებში წარმომადგენელი დავნიშნეთ — თბილისის მერიის ყოფილი პრემიერი გია ცაგარელი, ძალიან გონებამახვილი და ფართო მასშტაბის მოაზროვნე, კერძოდ, ეკონომიკის სფეროში. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. მან შესანიშნავად იცის ენა, იცის ჩვენი ეკონომიკაც, იცის. რა გვჭირდება და რა გვინდა. ამის პარალელურად, ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩვენთან შექმნილიყო საზოგადოებრივი კომიტეტის მსგავსი რამ. რომელიც ითანამშრომლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ კომიტეტთან, სხვათა შორის, ასეთი მოძრაობა, თუ ჩვენ ხელს შევუწყობთ, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, ევროპაშიც შეიძლება გამოიკვეთოს. არის ბევრი მსურველი — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში — შეიქმნას არა სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომელიც იმუშავებს საქართველოში დემოკრატიის ინტერესების, საქართველოს გადარჩენისათვის.

— თავის დროზე, როცა შავი ზღვის ქვეყნების ალიანსი შეიქმნა, მას ძალიან დიდი იმედით ვუყურებდით. ამ ბოლო დროს, თითქოს ყურადღება მოდუნდა მის მიმართ. როგორც ვიცით, ახლა ამ ეკონომიკურ კავშირში საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდი მოდის. თქვენი აზრით, ნიშნავს ეს რაიმეს თუ არა საქართველოსათვის, მით უმეტეს, დღევანდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე?

— მე ერთხელ ვთქვი, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა ამ ქვეყნებში, რომ თითქოს, საქართველო უარს ამბობს თავმჯდომარეობაზე ამ შემდგომ პერიოდში. ჯერ კიდევ ვერ დავადგინე, საიდან მოდის ეს, ვისთანაა დაკავშირებული, საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ სხვასთან. რატომღაც დამკვიდრდა ასეთი აზრი, რომ ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ, ხარჯებს ვერ ავიღებთ და ამიტომ უარი უნდა ვთქვათ. ღარიბი ქვეყანა რომ ვართ და ჯერჯერობით სტაბილური ვითარება რომ არ არის, სწორედ ამიტომ არ უნდა თქვას საქართველომ უარი თავმჯდომარეობაზე. მომავალი წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველო უნდა იყოს ამ ქვეყნების ალიანსის თავმჯდომარე და თავისთავად ეს არა მარტო პრესტიჟულია, არამედ ძალიან სასარგებლო და საჭირო. ჩემი პრაქტიკიდან მახსოვს: ისეთი მდიდარი ქვეყნების, როგორებიც არიან ავსტრია, შვეიცარია, ხელმძღვანელები იბრძოდნენ, რომ მიეღოთ უფლება ვენაში ან ჟენევაში, ან მათი ქვეყნების რომელიმე სხვა ქალაქებში ღონისძიების გასამართავად, რადგან, ამასთან დაკავშირებულია მთელი რიგი სიკეთე, მათ შორის, ვაჭრობის გამოცოცხლება და მრავალი სხვა. მიმაჩნია, რომ ასეთ მისიაზე საქართველომ უარი არ უნდა თქვას. თუ საბოლოოდ გადაწყდება ამ ქვეყნების გაერთიანებაში ჩვენი თავმჯდომარეობის საკითხი, მაშინ ჩვენ ღირსეულად უნდა შევასრულოთ ეს მისია. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გაჯანსაღდება კრიმინოგენური ვითარება. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ აქ საგარეო საქმეთა მინისტრები, უფრო მაღალი რანგის პირები ჩამოვიდნენ და ეს რაიმე რისკთან იყოს დაკავშირებული. ამიტომაც, მგონია, საქართველოში ამ ღონისძიების გატარება — სახელის, პრესტიჟის სასარგებლო საქმეა.

— გუშინ თქვენ ოპერის თეატრში ბრძანდებოდით ნინო რამიშვილის, ოდისეი დიმიტრიადის და ზურაბ ანჯაფარიძის საღამოზე. ეს ის სახელებია, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს საქართველო. მაგრამ, დღეს, სამწუხაროდ, საქართველოდან მიდიან არა მხოლოდ ბიზნესმენები, არამედ ინტელექტუალური ძალები. როგორ ფიქრობთ ამ ნაკადის შეჩერებას?

— მინდა მადლობა ვუთხრა ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს და მის კოლეგებს, ვინც ამ საღამოს ორგანიზაცია მოაწყო, ბატონებს კოტე მახარაძეს, ჯანსუღ კახიძეს და სხვებს შესანიშნავი ღონისძიებისათვის. ხანდახან, როცა ზოგიერთ გაზეთს წაიკითხავ და ტელეგადაცემას ნახავ, ადამიანს ხელები ჩამოგიცვივდება, გინდა ცხოვრებას დაანებო თავი, სიცოცხლეზეც კი თქვა უარი. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ეს არარეალურია. მართლაც უმძიმესი ვითარებაა. მაგრამ ამ დროსაც კი, როცა ადამიანები მიდიან ბრძოლაში და ბევრმა იცის, რომ იქიდან ვერც დაბრუნდება, მაინც თავის მოვალეობად რაცხს, თუკი ამის საშუალება არის, სპექტაკლი ნახოს, ან მუსიკა მოისმინოს. ეს განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს სჭირდება ადამიანს. მე გუშინ მივესალმე ამ კორიფეებს, რამდენიმე სიტყვაც ვუთხარი. მართლაც კორიფეები არიან ქალბატონი ნინო რამიშვილი, ბატონი ოდისეი დიმიტრიადი, განსაკუთრებული ქართული ფენომენი ზურაბ ანჯაფარიძე, მართლაც ეს ბრწყინვალე სამეული. როგორი ატმოსფერო იყო იქ, იმ ორი საათის განმავლობაში ადამიანები ხელოვნებით ცოცხლობდნენ და ყველა იქ მყოფიც საქართველოზე ფიქრობდა, ფიქრობდა არა იმაზე, როგორ დაიღუპება საქართველო, არამედ იმაზე, როგორ გადარჩება საქართველო, როგორ შეეშველება ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი დიდი ხელოვნება ქვეყნის გადარჩენასა და აღორძინებას.

გული მწყდება, თუ ეს საღამო ვერ ჩაიწერა ტელევიზიამ. იმიტომ, რომ იმდენად ჭკვიანურად, კარგად, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე იყო ეს ჩაფიქრებული და იმდენად გულწრფელი იყო დამოკიდებულება ამ დიდი სამეულისადმი, რომ ცოდვა იქნება, ეს ქართველმა ხალხმა ვერ ნახოს.

ჩვენი სიმბოლური ჯილდო, რომელიც დაკანონებულია, მაგრამ ჯერ დაბეჭდილი არ არის, მე მათ ვერ ჩავაბარე. სხვათა შორის, ბატონ ოდისეის დავპირდი, რომ ჯილდოს ჩავაბარებ საბერძნეთში, სადაც თვითონ მიემგზავრება. მე გამოვხატე ხელისუფლების დამოკიდებულება ამ სამი დიდი ადამიანისადმი.

რაც შეეხება ტალანტების, ინტელექტის გადინება-გასვლის პრობლემას, მგონია, რომ ამას, ჯერჯერობით, კატასტროფული სახე არ მიუღია. ტყუილია, რომ საზღვარგარეთ წასულია ნახევარი მილიონი ახალგაზრდა. არაფერი ამის მსგავსი არ არის. ლაპარაკია 5-10 ათასზე. დასახელებით ვიცი, ვინც წავიდა — მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები. მე ბერლინში ვნახე გია ყანჩელი და ვისაუბრეთ. მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი საქმე კეთდება, გიამ იქ გაიტანა ქართული მუსიკა იმ მასშტაბით, რომელსაც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით. ჯანსუღ კახიძემ უდირიჟორა უზარმაზარ შეკრებას ელისეის მინდორზე, სადაც ლამის 100 ათასი კაცი იყო. მარტო ამისათვის რომ წასულიყო ორი თვით ან ერთი წლით, რათა ქართულ სადირიჟორო სკოლაზე წარმოდგენა შექმნოდათ, ღირდა ეს. როგორ შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ლიანა ისაკაძე სამუდამოდ დარჩება საზღვარგარეთ. იგი იქ ამკვიდრებს წარმოდგენას ქართულ ხელოვნებაზე, ქართულ საშემსრულებლო სკოლაზე, ქართულ კულტურაზე. გავა გარკვეული დრო და იგი გამდიდრებული დაბრუნდება საქართველოში. არ არსებობს ტალანტი სრულყოფილი, თუ იგი არ ეზიარა საგანძურს, რომელსაც ევროპული კულტურა, მუსიკა, მხატვრობა ჰქვია.

ბევრ წერილს ვიღებ შესანიშნავი გამოხმაურებით ჩვენი ახალგაზრდების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან. შესანიშნავი ახალგაზრდობა წავიდა იქ იმისათვის, რომ ისწავლონ. მე მგონი, ჩვენ ამ გაჭირვების დროს უნდა მივესალმოთ და ხელი შევუწყოთ ამგვარ ინიციატივას. რაღაც ნაწილი შეიძლება დარჩეს იქ, მაგრამ ესეც არაა დაკარგული. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ უცხოეთშიაც შეიქმნება მისი ფილიალები და განყოფილებები და იქ დარჩენილებსაც ექნებათ საშუალება იცხოვრონ საქართველოს ცხოვრებით. ასე რომ, ამაში, თავისთავად, მე დიდ საფრთხეს ვერ ვხედავ. პირიქით, მიმაჩნია, რომ მეტია დადებითი და პოზიტიური, ვიდრე უარყოფითი.

1994 წელი შემობრუნების წელი უნდა იყოს

მიზეზები, თუ რატომ გვიჭირს, რატომ არ გვყოფნის პური, არ გვაქვს სითბო, გვაკლია ელექტროენერგია და აირი, ყველასათვის ცნობილია. აფხაზეთის ომი, შავბნელი დესტრუქციული ძალა — პროვინციული ფაშიზმი, რომელმაც ლამის წალეკა ქვეყანა და, ბოლოს. კრიტიკულ წერტილამდე მისული კრიმინოგენური სიტუაცია.

ქვეყანას შველა უნდა. და სწორედ ამ პრობლემათა გარშემო პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა თათბირი, რომელსაც უმთავრესად ქალაქებისა და რაიონების თავკაცები, დარგების ხელმძღვანელები, მინისტრთა კაბინეტის წევრები ესწრებოდნენ.

1994 წელი შემობრუნების წელი უნდა იყოს. თქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ და ეს აზრი გახდა ყველა გამომსვლელის მოხსენების ლაიტმოტივი. რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების ხელმძღვანელები, რაიონების გამგებლები, ღიად, დაუფარავად ლაპარაკობდნენ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლით მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

დღეს ყველას ერთნაირად უჭირს. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა პირველი სიტყვა ლტოლვილების ხელმძღვანელს მისცა. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანები. რომლებიც საკუთარ სამშობლოში ლტოლვილები გახდნენ — ეს ჩვენი საერთო ტკივილია, ერის ტრაგედიაა და ერმა უნდა უშველოს მათ.

მთელი მოსახლეობის ერთი მეხუთედი დღეს საქართველოში ან ლტოლვილია, ან დროებით გადაადგილებულია, ძნელია დავასახელოთ რეგიონი. სადაც ლტოლვილები არ არიან. სახელმწიფო ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რათა შეუმსუბუქოს მათ მდგომარეობა. ყველა სასტუმრო, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ, დღეს საერთო საცხოვრებლის ნიხრით სარგებლობს. დაიწყო ლტოლვილების აღწერა. მათ დაურიგდათ ოჯახური ანკეტები. ამით დადგინდება რიცხვი და კომიტეტს მიეცემა საშუალება იმუშაოს რეალური ვითარების გათვალისწინებით.

თათბირზევე სახელმწიფოს მეთაური სამსახურის ხელმძღვანელებს აძლევდა ამა თუ იმ პრობლემიდან გამომდინარე დავალებებს, ბევრიც აქვე გადაწყდა. ეხებოდა ეს ფულის ანაზღაურების, საბანკო ოპერაციების შეფერხებას თუ ლტოლვილი ბავშვებისათვის ახალი წლის მილოცვას.

ყველა გამომსვლელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა სწორედ საგანგებო ღონისძიებანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო სისტემის მოსაგვარებლად. სანამ არ დამყარდება ამ საქმეში ელემენტარული წესრიგი, ვერავითარი რეფორმები ვერ განხორციელდება.

ერთსულოვნები იყვნენ გამომსვლელები იმაშიც, რომ რესპუბლიკაში თვისებრივად ახალ საფუძველზე უნდა აღდგეს, განვითარდეს და გაღრმავდეს სამეურნეობათაშორისი ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა, რუსეთთან. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, ყველაფერი ვიღონოთ, გამოვაცოცხლოთ სოფლის მეურნეობა, გავაჯანსაღოთ ეკონომიკა.

უპირველესად საჭიროა გამოსწორდეს ვითარება სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. თათბირის მონაწილეებმა გაამახვილეს ყურადღება იმ დიდ დავალიანებაზე ენერგორესურსების მოხმარებაში, რომელიც დღეისათვის 129,7 მილიარდ კუპონს შეადგენს, მათ შორის: ელექტროენერგიისა — 60,6, ნავთობპროდუქტების — 41,5, ხოლო ბუნებრივი გაზისა — 17.60 მილიარდ კუპონს.

როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, ასეთ დავალიანებას ვერცერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებს. ამიტომ „საქგაზმა“, „საქენერგომ“, „საქნავთობპროდუქტმა“ უნდა გაამკაცრონ საგადასახადო მოთხოვნები მომხმარებელთა მიმართ და გადაუხდელობის შემთხვევაში შეწყვიტონ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის, ბენზინის მიწოდება დებიტორული დავალიანების სრულ დაფარვამდე. მხოლოდ წინასწარი ანგარიშსწორების შემდეგ განახორციელონ მათი მიწოდება. აუცილებელია მთავრობის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკის დაცვა. ამის მოუგვარებლობის გამო ზოგ რეგიონში დაიხოცა პირუტყვი, ფრინველი, არ ცხვება პური, შეწყდა სატელეფონო კავშირი.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რკინიგზის პრობლემებს, კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორების აუცილებლობას. ითქვა, რომ თერთმეტ თვეში დატაცებულია 22 მილიარდი კუპონის საწვავი. განსაკუთრებით რთული ვითარებაა გარდაბნის რკინიგზის სადგურში, სადაც გაუთავებელი ძარცვა-გლეჯაა, გარიგების გარეშე ვერ მიიღებ კუთვნილ საწვავს.

თათბირის მონაწილეების აზრით პრესაში და ტელევიზიაში სათანადოდ არ ანალიზდება დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესები, არადა იქ ბევრი სასიკეთო და საყურადღებო გაკეთდა.

დაინიშნენ ახალი კადრები, რომლებმაც ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. მათ მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა არ განმეორდეს შავი ძალის აღზევება, რომლის დაფინანსება სწორედ ამ რეგიონის ზოგიერთი ორგანიზაციისა და ბანკის მიერ ხდებოდა. საჭიროა მოეწყოს სრული რევიზია, დადგინდეს სიმართლე.

გააანალიზა რა მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საგრძნობლად უნდა ამაღლდეს გამგებლების ავტორიტეტი და როლი. სწორედ მათ ეკისრებათ შეარჩიონ სოფლის მეურნეობის საკვანძო თანამდებობებზე ნამდვილი პროფესიონალები. გამგებლებმა უნდა იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, მათთან ურთიერთობა უნდა იყოს მეტად კორექტული, საქმიანი და სერიოზული.

საჭიროა ყველა გამგებელმა, მინისტრმა თუ სხვა თანამდებობის პირმა გაამართლოს ხალხის ნდობა, გაუფრთხილდეს თავის სახელს და არ დაიშუროს ძალისხმევა, რათა ყველამ ერთად გამოვიყვანოთ ჩვენი ქვეყანა კრიზისიდან.

ებრაულ დღესასწაულს „ხანუკას“ საქართველოც ზეიმობს

— **მეამაყება**, რომ როგორც ღვიძლი ძმები, აი, უკვე 26 საუკუნეა, რაც ერთად ცხოვრობენ ქართველები და ებრაელები. მართალია, ათასობით ქართველი ებრაელი ახლა ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს კვლავ თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნია, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ებრაელთა დღესასწაულზე „ხანუკაზე“. — ებრაელი ხალხი რწმენამ გადაარჩინა, მან უნიკალური წვლილი შეიტანა კაცობრიობის კულტურაში. თქვენი ცხოვრება, — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა ამ დღესასწაულზე შეკრებილთ. — ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ იბრძვის ერი თავისი რწმენის, ენის, კულტურის და ტრადიციების გადარჩენისთვის. „ხანუკა“ — ეს არის გმირობის, მამაცობის, სინათლის დღესასწაული. გავა დრო, დაწყნარდება საქართველო და ჩვენ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა გახშირდება, როგორც ახლო და კეთილი მეზობლებისა.

დღესასწაულზე სიტყვა წარმოთქვა ისრაელის ელჩმა საქართველოში ბარუხ ბენ ნერიამ (ბირენბაუმმა). მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო-ისრაელის ურთიერთობას მრავალი საუკუნის ტრადიცია აქვს და ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა ურღვევია.

„ხანუკის“ დღესასწაული დამსწრეთ მიულოცა მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, „სოხნუთის“ წარმომადგენელმა საქართველოში იაკობ ეფრემაშვილმა.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ქალაქ თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი.

არჩევნები რუსეთის ფედერაციაში

ვიაჩესლავ კოსტიკოვი:

„რუსეთში გაიმარჯვა დემოკრატიამ“.

„**რუსეთში** გაიმარჯვა დემოკრატიამ“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა ვიაჩესლავ კოსტიკოვმა, როცა ახალი კონსტიტუციის მიღება გამოაცხადა. როგორც მან თქვა, კონსტიტუცია „იქნება ის ღერძი, რომლის გარშემოც აშენდება ახალი სახელმწიფო“.

ვიაჩესლავ კოსტიკოვმა აღნიშნა, რომ „ბლოკმა“ რუსეთის არჩევანი“ საკმაოდ ბევრი ხმა შეაგროვა, და ამასთანავე სინანული გამოთქვა, რომ დემოკრატებმა არჩევნების წინ ვერ შეძლეს გაერთიანება ერთ-ორ ბლოკად. მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ არჩევნების გამოცდილება ჭკუას ასწავლის მათ დემოკრატებს და ისინი პარლამენტში უფრო მჭიდროდ იმოქმედებენ.

პრეზიდენტს აქვს ნებისყოფა ბოლომდე მიიყვანოს თავისი ხალხის ნდობის მანდატი.

შეეხო რა პრეზიდენტის ახალი არჩევნების შესაძლებლობის საკითხს, ვიაჩესლავ კოსტიკოვმა მითუმეტეს არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ „ეს საკითხი შეიძლება ახალი პარლამენტის დისკუსიის საგანი გახდეს“. პრესმდივანმა ილაპარაკა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინასწარ შედეგებზე და აღნიშნა, რომ „საჭირო არ არის სიტუაციის დრამატიზება ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გარკვეულ წარმატებათა გამო“. ვიაჩესლავ კოსტიკოვმა განმარტა, რომ ასეთი შედეგები მარჯვე პროპაგანდისტული მუშაობის ნაყოფია, და რომ დემოკრატიული ძალებისათვის „ეს გაკვეთილი უნდა იყოს, აგრეთვე ისინი უნდა ჩაუკვირდნენ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლოზუნგებს“.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანმა განმარტა, ლოზუნგებმა ძლიერი რუსეთისა და რუსეთელთა ინტერესების დაცვის იდეის შესახებ გარკვეული პოპულარობა მოიპოვეს“. ამიტომ, აღნიშნა მან, დემოკრატიულმა ძალებმა ასეთ ლოზუნგებზეც უნდა იფიქრონ. პრესმდივანმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ „პრეზიდენტი პრეზიდენტად რჩება ყველასათვის რუსეთში და ყველა პარტიაზე მაღლა დგას“.

ვლადიმერ შუმეიკო:

„მთავრობა და რეფორმების კურსი უცვლელი რჩება“.

„**მთავრობა და რეფორმების** კურსი უცვლელი რჩება“, — განაცხადა იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ შუმეიკომ. მომავალი მთავრობის შემადგენლობის პროგნოზირებისას მან თქვა, რომ მთავრობაში შეიძლება მოხდეს ზოგიერთი გადაადგილება, მაგრამ ძირითადად მისი შემადგენლობა არ შეიცვლება.

კენჭისყრის პირველი შედეგების კომენტირებისას პირველმა ვიცე-პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ „დემოკრატიული ძალები შეძლებენ მიაღწიონ უმრავლესობას მომავალ პარლამენტში“.

როგორც ვლადიმერ შუმეიკომ თქვა, „იგი არჩეულია ახალი პარლამენტისზედა პალატაში (ფედერაციის საბჭოსი).

ჟენევაში დაწყებულ პროცესს დადებითად ვაფასებთ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განცხადება

როგორც ცნობილია, ამა წლის 13 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით ჟენევაში გაეროს ეგიდით გაიმართა მოლაპარაკება აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ქართველთა და აფხაზთა მხარეების გარდა მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რუსეთისა და ევროთათბირის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა მხარეს უკვე ჰქონდა აფხაზთა მხარესთან მიღწეული შეთანხმებების ჩაშლის სამძიმო მწარე გამოცდილება (იგულისხმება გაგრისა და სოხუმის ტრაგედიები), იგი მაინც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზას დაადგა, რადგან კარგად აცნობიერებდა, რომ საქმე ეხება ერთი ქვეყნის მოქალაქეების ბედ-იღბალს, რომლებმაც აფხაზეთის მიწაზე მომავალშიც ერთად უნდა იცხოვრონ.

გარკვეულ ოპტიმიზმს გვმატებდა ისიც, რომ ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკება მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით, რაც თავისთავად ახალ და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა აფხაზური პრობლემის მოგვარების საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტის დროს გაერო, მისი უშიშროების საბჭო ყოველთვის პრინციპულ და ობიექტურ პოზიციას იდგა, რაც, სოხუმში დატრიალებული უკანასკნელი ტრაგედიის მიუხედავად, მაინც პოზიტიურ როლს ასრულებდა და ნიადაგს უმზადებდა აფხაზური კონფლიქტის სამართლიან გადაწყვეტას.

ჟენევაში დამთავრებულმა მოლაპარაკების პირველმა რაუნდმა დაგვარწმუნა ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში, თუმცა, ვიცით, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა სჭირდება. ჩვენ ღრმად გვწამს, და ჟენევაში მიღებული მემორანდუმიც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენი პარტნიორები კარგად აცნობიერებენ თავიანთ მაღალ პასუხისმგებლობას ისეთი ავტორიტეტული ორგანოს წინაშე, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ იგი ჟენევაში დაწყებულ პროცესს დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ იგი უნდა განვითარდეს მომდევნო ეტაპებზე. ამის აუცილებელი გარანტი კი ამ პროცესში გაეროს, ევროთათბირის, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების მონაწილეობაა.

მხოლოდ ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და სიყვარული გადაარჩენს კაცობრიობას

გაერომ მიიღო რეზოლუციები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ეროვნულ, ეთნიკურ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების შესახებ

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობიდან საქინფორმს აცნობებს, გრძელდება გაეროს გენერალური ასამბლეის 48-ე სესია. განიხილეს ადამიანის უფლებებთან, ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

საქართველოს წარმომადგენლობა გახდა იმ ცალკეული პროექტების თანაავტორი, რომლებიც რესპუბლიკის უშუალო ინტერესებს ითვალისწინებს. 6 დეკემბერს მიღებულია საქართველოს თანაავტორობით მომზადებული რეზოლუცია ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების შესახებ. გაერომ დასახა ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სამხედრო მოქმედების, გამწვავებული მდგომარეობისა თუ სტიქიური უბედურების გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად სახელმწიფოს, გაეროს სტრუქტურების მოქმედების გააქტიურებას.

როგორც ცნობილია, გაეროს პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად 20 მილიონი დოლარის აკუმულირება. საბავშვო ფონდის, საკვების მსოფლიო პროგრამის, ლტოლვილთა მთავარი კომისრის. საკვებისა და აგროკულტურული ორგანიზაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის ხაზით ეს თანხა 1993 წლის დეკემბრიდან 1994 წლის მაისამდე უნდა მოხმარდეს საქართველოში საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებულ ხალხს.

ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებული რეზოლუცია გმობს მას, როგორც ადამიანის უფლებების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის ნორმების დარღვევის ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და უშიშროებას, ხელს უშლის მათს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გაერო მოუწოდებს ქვეყნებს გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ტერორიზმის წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ საერთაშორისო გაერთიანებამ გააძლიეროს თანამოქმედება ტერორიზმის საშიშროებასთან ბრძოლის საქმეში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

ეროვნულ, ეთნიკურ და ლინგვისტურ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებების დეკლარაციის შესახებ რეზოლუციის დამტკიცებისას საქართველოს წარმომადგენლობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოში მიმდინარე პროცესებს გაერო დიდ ყურადღებას უთმობს. გავრცელებულ დოკუმენტებში აღწერილია, თუ რა გაჭირვება და აუნაზღაურებელი მსხვერპლი მოჰყვა ბოლო წლის ტრაგიკულ მოვლენებსა და საბრძოლო მოქმედებას. საქართველოს ხალხი გაეროს მადლიერია დახმარებისათვის.

საქართველო მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ქვეყანაა მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული. თავისი არსებობის მანძილზე იგი ბევრი სხვადასხვა რელიგიური რწმენისა და ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელთათვის სამშობლოდ იქცა. საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომია გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიები, მეჩეთი, სინაგოგა.

გამოიცემა სხვადასხვაენოვანი ჟურნალ-გაზეთები, გახსნილია სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები არაქართველი მოსახლეობისათვის. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ არა მარტო საქართველოში მოქმედი კანონები კრძალავს, არამედ თავად ქართველი კაცის ბუნებაც არ ეგუება უმცირესობის ინტერესების შელახვას. ამასთან, გამოცდილება, რომელიც ბოლო პერიოდში შეიძინეს ახალმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა, ცხადყოფს, რომ უმცირესობის საკითხი უამრავ პრობლემას უკავშირდება, როცა საქმეში ბინძური პოლიტიკა ერევა.

წლების განმავლობაში მბრძანებლურ-კომუნისტური რეჟიმი ქმნიდა სხვადასხვა წანამძღვარს, რაც საბოლოოდ ტრაგედიის მიზეზი გახდა: იცვლებოდა შიდა საზღვრები, ხდებოდა მთელი ეროვნული ჯგუფების გადასახლება, იქმნებოდა და სტიმული ეძლეოდა შიდა ოპოზიციურ მოძრაობას თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების წინააღმდეგ. კომუნისტური რეჟიმი მოკვდა, მაგრამ მის მიერ დატოვებული ჭრილობებიდან კვლავ სისხლი ჟონავს.

გვინდა ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი ამ საკითხისადმი ჩვენს მიდგომას — მხოლოდ ურთიერთგაგებამ, შემწყნარებლობამ და სიყვარულმა შეიძლება გადაარჩინოს კაცობრიობა. ამ პრინციპების დამკვიდრებას ემსახურება გაეროს ზემოაღნიშნული რეზოლუციაც, რომლის თანაავტორების ჯგუფს კმაყოფილების გრძნობით შევუერთდით“.

შეხვედრა თურქ ბიზნესმენთან

11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო თურქეთის ტურისტული ფირმის „ართვინ-ექსპრესის“ პრეზიდენტი ოსმან ილმაზი (ირემაძე), რომელიც სტუმრად არის საქართველოში მისი ფირმის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით. „ართვინ-ექსპრესის“ პარტნიორი თბილისში იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ემი“, რომლის პრეზიდენტია ზურაბ ედიშერაშვილი.

სტუმარმა საქართველოს პარლამენტის სპიკერს გააცნო ფირმის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მის საკუთრებაში არსებული „მერსედესის“ მარკის 50 ავტობუსი მოემსახურება საქართველო-თურქეთის ტრასებს, რათა ამ ორი მეგობარი ქვეყნის მოქალაქეებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ფირმის ავტობუსები „დიდუბის“ სადგურიდან, ჯერჯერობით, კვირაში სამ დღეს, ხოლო შემდგომ ყოველდღიურად ივლიან თურქეთის მიმართულებით.

პრესკონფერენცია სასტუმრო „მეტეხში“

12 დეკემბერს სასტუმრო „მეტეხში“ პრესკონფერენცია გამართა ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის მხარდამჭერი კომიტეტის წარმომადგენელთა ჯგუფმა, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში ამ კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ჰუმანური ტვირთი ჩამოიტანა. კომიტეტი, როგორც უკვე იცის ქართველმა საზოგადოებრიობამ, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნების ჯეიმს ბეიკერისა და ჯორჯ შულცის ინიციატივით შეიქმნა საქართველოსათვის მორალური, ჰუმანური და ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამერიკის ჰუვერის ინსტიტუტის ბაზაზე იქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაეხმარება საქართველოს მთავრობას რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დაძლევასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად მყარი ბაზის შექმნაში. ითქვა, აგრეთვე, რომ კომიტეტი სისტემატურად განახორციელებს საქართველოსთვის ჰუმანური დახმარების აქციებს.

აი, რა ხდება დღეს სოხუმში

(სოხუმიდან ჩამოსული კაცის ნაამბობი)

ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს აინტერესებს, თუ რა ხდება ბოლო ორი თვის განმავლობაში სოხუმში, რომელიც აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს უკავიათ. გვაინტერესებს ყველაფერი, ვკითხულობთ როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ინფორმაციას. საყურადღებოა გაზეთ „ახალი ქუთაისის“ 9 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი ქალაქ სოხუმის მკვიდრის გიორგი გიორგბელიძის მონაყოლი, რომელიც სოხუმიდან 5 დეკემბერს გამოვიდა:

„სოხუმი ბოლო დროს გაცოცხლდა. ნგრევა, რასაკვირველია, შეწყდა, მაგრამ ამას წინათ ერთი ძალიან მდიდრული სახლი სოხუმში მაინც დაწვეს — ერთმანეთში ვერ გაიყვეს. ქართველთა სახლებზე აფხაზური გვარებია მიწერილი, ჩეჩნებიც ჩამოსახლდნენ... სოხუმის ბაზარში სურსათ-სანოვაგე იყიდება: პროდუქტები ძირითადად სოჭიდან შემოდის, ვაჭრობა რუსულ ფულზეა. განსაკუთრებით ბევრია ხორცი. რა თქმა უნდა, ეს ქართველების საქონელი იკვლება და იყიდება. მე აქამდე არ ვტოვებდი ჩემს სახლ-კარს, ცოლ-შვილი 24 სექტემბერს გამოვაცილე, არ ვიცი, სად არიან. რუსი და აფხაზი მეზობლები მფარველობდნენ. აქამდე რომ ცოცხალი ვარ, მათ უნდა ვუმადლოდე. როცა საშიშროება იყო, ისინი მმალავდნენ თავიანთ სახლებში, მაჭმევდნენ, მასმევდნენ. რამდენიმე კვირის წინათ ავად გავხდი, კუჭის ოპერაცია იყო საჭირო. საავადმყოფოში დამაწვინეს. ექიმები კარგად მეპყრობოდნენ, წამლებს არ იშურებდნენ. პალატაში მყოფი აფხაზები კი ძაღლივით მექცეოდნენ. მათთან მიჰქონდათ ათასგვარი საჭმელი და ხილი, მე კი ერთ ნამცეცსაც არავინ მაძლევდა. ვიკვებებოდი საავადმყოფოს უმარილო და უშაქრო ფაფით. ბოლოს ყველა გაწერეს და მარტო დავრჩი პალატაში. მეორე დღეს კი ორი შეიარაღებული აფხაზი შემოვიდა. როგორ გადარჩიო, მკითხეს. მერე საათი წამართვეს, პირი გამაღებინეს — ოქროს კბილი ხომ არა გაქვსო. დამემუქრნენ, შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალო და წავიდნენ. რაღას ვიზამდი, ოპერაციას არ დაველოდე, გავიპარე. 27 ნოემბერს საღამოს კი ოთხი შეიარაღებული ბოევიკი შემომეჭრა სახლში, კონდახით მცემეს. თუ რამე მქონდა, გაზიდეს, ჩემი ხელით ჩამატვირთინეს მანქანაში, შემდეგ ჩემს კარებს მიაწერეს გვარი ტამბია. მითხრეს, რომ 5 დეკემბერს კატარღით 18 ათას რუსულ მანეთად გადამიყვანდნენ ფოთში, აქედან „მოუსვიო“, მითხრეს და დასძინეს, ქართველების ფეხი არ ვნახოთ აქ ჩამოდგმული, მაინც არ გაცოცხლებთო.

მივხვდი, რომ ცოცხალს ფოთამდე არავინ ჩამომიყვანდა, და წავედი იმის გასაგებად, ავტობუსები ხომ არ დადიოდა. შევიტყვე, რომ ყოველ პარასკევს სოხუმიდან ენგურამდე დადის ავტობუსი, რომელსაც სამი ათას მანეთად გადაჰყავდა დარჩენილი ქართველები ენგურის ხიდამდე. ფული მეზობლებმა შემიგროვეს და მომცეს. ავტობუსს აფხაზები აცილებდნენ. ორმოცდაათამდე კაცი გამოგვიყვანეს სოხუმიდან, ძირითადად მოხუცები იყვნენ. ენგურიდან ზუგდიდში ჩამოვედი. შტაბში აქ პირველად ამდენი ხნის განმავლობაში თავი ადამიანად ვიგრძენი. ქუთაისში ჩამოვედი, რომ ცოლ-შვილი მოვძებნო“.

რასაკვირველია, ამ ნაამბობს კომენტარი არ სჭირდება. რამდენი ქართველი აღმოჩნდა ამგვარ ვითარებაში! ბოლო ორი კვირის განმავლობაში სოხუმიდან გამოსული ლტოლვილები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოხუმში მყოფი აფხაზთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, ხვდება, რა ჩაიდინეს მათმა თანამემამულეებმა და არძინბას ბოევიკებმა, რომ ეს პროცესი აფხაზ ერს მორალურ დეგრადაციამდე მიიყვანს. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზურმა ტელევიზიამ, რომელმაც უკვე ერთი თვეა დაიწყო მუშაობა სოხუმში, რუსულ და აფხაზურ ენებზე გამოაცხადა, რომ სასტიკი ზომები იქნება მიღებული მოროდიორობის წინააღმდეგ. მაგრამ გვიან ხომ არ არის ამგვარი განცხადების გაკეთება მაშინ, როდესაც მთელი აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, და არა მარტო ქართული, გაძარცვეს და გაანადგურეს?

თენგიზ ბაჭყორია.

პროვინციული ფაშიზმის პროვინციული თეატრი

ნოდარ გურაბანიძე

დაიპატრონოს ხუთივე მუზას,
სარგებელს მისცემს მუზათ ათქვეფა,
რადგან მიტინგის მოცარტს და მუსუსს
ეს ყველაფერი თავს წაადგება.

(არჩილ სულაკაური. „ანდერძი", ფრანსუა ვიიონის მიბაძვით დაწერილი).

საქართველოდან გაძევებული ხელისუფლების არსს სრულად გამოხატავს ცნება პროვინციული ფაშიზმისა. რაც დრო გადის, მით უფრო იკვეთება ამ საშინელი მოვლენის სახე. პროვინციული ფაშიზმი არა მხოლოდ იდეოლოგიაში და პოლიტიკურ აქციებში ამჟღავნებს თავის ბუნებას, არამედ ამ პოლიტიკის თავისებურ ესთეტიზაციაში, პომპეზურ სანახაობათა თეატრალიზაციაში.

რომის იმპერიიდან მოყოლებული, დღემდე ცნობილია მრავალი დიქტატორის სახელი, რომლებიც განსაკუთრებულ ჟინებს ავლენდნენ ტრიუმფალური შეხვედრების, სანახაობების, ხალხის ერთსულოვნების გამომხატველი დემონსტრაციებისა თუ მიტინგების ორგანიზების მიმართ. ამ თვალსაზრისით, უეჭველად, ყველაზე შთამბეჭდავი იყო ნაცისტურ გერმანიაში ერის მესიის — ფიურერის — მიერ შთაგონებული გრანდიოზული რიტუალური დემონსტრაციები, შეკრებები, მიტინგები, თუ მარშები, რომლებიც უხვად შეიცავდნენ თეატრალიზების, თვალისმომჭრელი სანახაობების ელემენტებს.

ჩვენი პროვინციული ფაშიზმის იდეოლოგებსაც ძალზე უყვარდათ ხალხმრავალი მიტინგების გამართვა, თავიანთ თაყვანისმცემელთა ენთუზიაზმით ტკბობა და საკუთარი თავის ტრიუმფატორად წარმოდგენა. ამ ე. წ. „საინფორმაციო მიტინგებში" ბევრი რამ იყო ისეთი, რაც თეატრალიზაციის არსენალიდან იყო აღებული და, ნებსით თუ უნებლიედ, ნასესხები ნაცისტური „თეატრალური გარდერობიდან". ამიტომ, ამ მიტინგებს, მოდით, პირობითად ვუწოდოთ თეატრი (თუკი ჩვენი სახელოვანი პოეტი პრეზიდენტყოფილს „მიტინგის მოცარტს" უწოდებს, რატომ არ შეიძლება, მე ამ „მოცარტის" მიერ ორგანიზებულ მიტინგებს „თეატრი" ვუწოდო?!) ვნახოთ, თუ რატომ იყო იგი პროვინციული. ჯერ მცირე ექსკურსი:

პირველად, ბერტოლდ ბრეხტმა მიაქცია ყურადღება „ფაშიზმის თეატრალობას" (ასეთი სათაურით სტატიაც კი აქვს გამოქვეყნებული). იგი ხედავდა, რომ ოციანი წლების მიწურულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ნაცისტური გერმანიის უმთავრესმა თეატრალურმა სანახაობებმა დარბაზებიდან ქუჩებში, მოედნებზე, სტადიონებზე გამართულ მიტინგებზე გადაინაცვლეს.

განსაკუთრებული პომპეზურობით ხასიათდებოდა სამგლოვიარო პროცესიები, ანუ სიკვდილის რიტუალები, რომლებიც უპირატესად ღამე იმართებოდა ხოლმე. დღე, სინათლე, მზე თითქოს აზიანებდა ფიურერის შემოქმედებითს ფანტაზიას. მიუნხენის სამეფო მოედანზე თუ ნიურნბერგის ყრილობათა სასახლის წინ, თავშეყრილი უამრავი ფანატიკოსი თაყვანისმცემლების კორიდორში უყვარდა მას გავლა. ორკესტრი ასრულებდა საზეიმო, პირქუშ მელოდიებს (აღსანიშნავია, რომ ეს ორკესტრი დამალული იყო და მუსიკა — იდუმალებით სავსე), ასობით პროჟექტორისა და ათასობით ჩირაღდნის შუქი ანათებდა ახლად მოვლენილი მესიის სახეს, პირადად მის მიერ შედგენილი თუ მოწონებული სცენარის მიხედვით, ხდებოდა ვნების კვირის პოლიტიზაცია, სადაც ნათლად ჩანდა, ნაცისტების მისწრაფება პოლიტიკის ესთეტიზაციისაკენ. ამგვარ სანახაობა-რიტუალთა კულმინაცია იყო (შემდგომ კი სანიმუშოდ ქცეული) 1935 წლის 9 ნოემბერს გამართული მსვლელობა პუტჩის (1923 წ.) მსხვერპლთა საპატივცემულოდ. არქიტექტორმა ლუდვიგ ტროოსტმა სპეციალურად ორი კლასიკური სტილის ტაძარიც კი ააგო, სადაც განთავსდა პუტჩის დროს დაღუპულ „გმირთა" 16 ბრინჯაოს სარკოფაგი. ვიდრე ფიურერი თავის ტრადიციულ სიტყვას მოათავებდა ლუდხანა „ბიურგერბროიკელერში", სარკოფაგები გადატანილ მხედართმთავართა აკლდამაში — ფელდჰერნჰალეში, რომელიც საგანგებოდ იყო მორთული ყვავისფერი ქსოვილებით და სასანთლეებით გაჩირაღდნებული. შუაღამეს ფიურერი მირიადი მაშხალით გაკაშკაშებული ტრიუმფალური თაღისა და ლუდვიგშტრასსეს გავლით, ღია მანქანაში მდგარი, ოდეონპლაცზე შეჩერდებოდა. წითელი ფარდაგით გადაფარებული კიბეებით, ხელაწვდილი ადიოდა ტაძარში და ყოველი სარკოფაგის წინ წამიერად ჩერდებოდა მწუხარებაში დანთქმული. შემდეგ ათიათასობით ადამიანი ჩაივლიდა მის წინ, რათა შემდეგ მისი აღმაფრთოვანებელი სიტყვა მოესმინათ. დაღუპულთა სულის მოხსენიების პროცესი მეორე დღეს უფრო ზეიმური და გრანდიოზული იყო: — საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული სპეციალური პილონები, ქვემეხთა ზალპები, რადიოდან გამაყრუებელი „ჰორსტ ვესელის სიმღერები", გიგანტური გვირგვინები, საზეიმო მუსიკა „გერმანია ყველაზე მაღლა" და „გამარჯვების მარში", პუტჩის დროს დაღუპულთა სახელების წამოძახილები რადიოდან (ზღვა ხალხი თითოეული გვარის დაძახებისას გვრგვინავდა: „აქა ვარ!"), სიმბოლური „მარადისობის ვახტა", მემორიალური დაფა და „გაცოცხლებული გმირები" ექსტაზით მოიცავდა ისედაც ეგზალტირებულ ფანატიკოსთა მასებს.

ასეთი, მართლაც, გამაოგნებელი მასშტაბის თეატრალიზებულ სანახაობათა ფონზე საცოდავი პროვინციალიზმით და ფანტაზიის სიმწირით გამოირჩეოდა ამ რამდენიმე წლის წინ მთავრობის სასახლის მოედანზე გამართული „ქუჩის თეატრი", ანუ ის განუწყვეტელი „საინფორმაციო მიტინგები", რომელთაც თეატრალიზების ერთგვარი პრეტენზია ჰქონდათ, მაგრამ უნიჭო რეჟისურის გამო (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს „მესიას" პროფესიონალი რეჟისორი ამოუდგა მხარში) წარუშლელ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებდნენ საღად მოაზროვნე ადამიანებზე. ამის მიუხედავად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ჩვენი, ქართული „ქუჩის თეატრის" ზოგიერთი თავისებურებანი, თეატრალიზებული ეპიზოდები, ნაცისტური და წარმოიდგინეთ, კომუნისტური სანახაობებიდან პირდაპირ ნასესხები ხერხები და „შემოქმედებითი იდეები".

თუმცა, იმდროინდელ ხელისუფლებას ხელთ ეპყრა მასობრივი ინფორმაციის (ტელევიზია, რადიო, პრესა) ყველა სადავე, შეეძლო ნებისმიერ დარბაზში თუ თეატრში გაემართა შეხვედრები, იგი, მაინც, უპირატესობას, გარეთ, ღია ცის ქვეშ, ე. წ. პლენერზე გამართულ მიტინგებს ამჯობინებდა. ტელევიზიის აუდიტორია შეუდარებლად ვრცელი და მრავალრიცხოვანია ნებისმიერ გრანდიოზულ მიტინგთან შედარებით. მაგრამ ტელევიზია მიმართავს ინდივიდს, ზემოქმედებს პიროვნულ ფსიქიკაზე, რომელიც ოთახის, შინაურთა სივრცითაა შემოზღუდული. მიტინგზე კი, პრაქტიკულად შეუზღუდავ სივრცეში, ხდება ერთდროული, სპონტანური ზემოქმედება მასის ფსიქიკაზე, აქ ინდივიდი, პიროვნება გამქრალია, ან თითქმის გამქრალია. მიზანში ამოღებულია კოლექტიური ცნობიერება, მასის განწყობა, რომელიც ფსიქოზამდე უნდა იქნას მიყვანილი, რათა ყოველმა წარმოთქმულმა სიტყვამ არა მარტო დამატებითი ემოციური ზემოქმედების ძალა და მიმზიდველობა შეიძინოს, არამედ უარგუმენტოდ, უკრიტიკოდ იქნას მიღებული. ამ „თეატრის" ძირითადი მიზანი არა მარტო დამოუკიდებლად აზროვნების უნარის გაქარწყლება იყო უმრავლესობაში, არამედ მოაზროვნე უმცირესობის გაჩუმებაც. ეს ორი მომენტი თანაბრად მნიშვნელოვანი იყო სანახაობის სცენარის ავტორებისათვის როგორც წინაპირობა ავტორიტარული რეჟიმის შესაქმნელად. ერიხ ფრომის აზრით, ავტორიტარული შინაარსის ძირითადი კომპონენტებია სადიზმი და მაზოხიზმი, ხელისუფლებისადმი სადისტური მიდრეკილება და ამავე დროს ლტოლვა შენივთ დამთრგუნველი ძალისადმი, თვით საკუთარი „მე"-ს განადგურებამდეც კი. უნდა მოხდეს გათქვეფა რაღაც უმაღლეს ძალაში, მაგრამ ისე, რომ ადამიანი, გრძნობდეს სიამაყეს იმით, რომ ამ ძალაში მასაც უდევს წილი (იხ. ე. ფრომი, „თავისუფლებიდან გაქცევა", მ. 1990. რუსულ ენაზე).

ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტყოფილის „ქუჩის თეატრი" ილუზიურია — თავის „მაყურებელს" იგი უნერგავს იმის ილუზიას, რომ თითოეული მათგანი მართავს ქვეყანას, წყვეტს ერის საჭირბოროტო საკითხებს, თანაზიარია „მესიის" მიერ აღსრულებული დიადი საქმეებისა, მაშინ, როცა, იგი, სინამდვილეში, გათქვეფილია, ნიველირებულია, როგორც პიროვნება. მას არსებითად წართმეული აქვს სამოქმედო ასპარეზი, მაგრამ, თავის ამ მდგომარეობას, ვერ ხედავს და ყალბი წარმოდგენების სამყაროში განაგრძობს ცხოვრებას. ეს ამბივალენტური განწყობილება ძალზე დინამიურია და ახალი ილუზიებისადმი საოცარი შეგუების უნარს ამჟღავნებს. ილუზიური სამყარო, ფანტასტიკური სიცრუე სცვლის რეალურად არსებულ სამყაროს. ამ თეატრში რეალურობის გრძნობა დაკარგულია. აბსურდული ლოგიკა მაღლა დგას საღი აზრის ლოგიკაზე. ამ თვალსაზრისით, ამ თეატრს ჩვენ „აბსურდის თეატრიც" კი შეგვიძლია ვუწოდოთ.

იმისათვის, რომ მოედანზე, მასობრივ რიტუალ-ქმედებაში მონაწილეობისათვის მოსულმა კაცმა უყოყმანოდ მიიღოს მთავარი როლის შემსრულებელ-პროტაგონისტის ყოველი სიტყვა, უნდა მოხდეს მისი გაღმერთება, თეატრალიზებული სანახაობის კვარცხლბეკზე დასმა, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მის უნიკალურ თვისებებს (ამ შემთხვევაში, მაყურებლისათვის სულერთია, ბუნებრივია ეს თვისებები თუ მოჩვენებით გათამაშებული), განსაკუთრებით გაუსვამს ხაზს. ამიტომ, სცენარის მიხედვით, მეორეხარისხოვანმა პერსონაჟებმა ანუ ეპიზოდური როლების შემსრულებლებმა უნდა შექმნან უზენაესი ხელისუფლების, სიბრძნით, გონიერებით, შორსმჭვრეტელობით გამორჩეული პიროვნების ხატი (ცნობილია გამოთქმა «Короля играет свита») აქ იღებს სათავეს ის, ყოველგვარ ზღვარსგადაცილებული ხოტბა, დითირამბები, რასაც ეს „შემსრულებლები" აღუვლენდნენ სანახაობის მთავარ გმირს — პრეზიდენტს. ზოგი სავსებით გულწრფელად, ზოგი ვირეშმაკურად მას მიიჩნევდა არაამქვეყნიურ არსებად, ზეცით მოვლენილ მესიად, მოსედ, წმინდა გიორგად, შეუდარებელ პოლიტიკოსად და ა. შ.

ბევრმა მისმა თაყვანისმცემელმა იცოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისათვის ყოვლად მიუტევებელი, საჯაროდ, ტელევიზიით მონანიება-აღიარების ამბავი, მაგრამ — თუ ბრეხტის პერიფრაზირებას მოვახდენთ — იმის ნაცვლად, რომ ემტკიცებინათ, იგი გმირი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ ჩაიდინა, ამტკიცებდნენ, გმირია სწორედ იმიტომ, რომ ასეთი რამ ჩაიდინაო. სიმართლის მცოდნენი ყველაზე დიდ მატყუარებად იქცნენ.

სანახაობა-მიტინგის პერსონაჟები ხალხს პირდაპირ თავში უტენიდნენ აზრს მათი კერპის უცოდველობის, შეუმცდარობის გამო. ყველა მის საქციელს ამართლებდნენ უაპელაციო ფრაზით — „ასე იყო საჭირო", რადგან იგი შეუმცდარი და უცოდველიაო. ს. ფრანკი თავის ეტიუდში „დესპოტიზმის ფილოსოფიური წინამძღვრები" („ვოპროსი ფილოსოფიი", 1992, № 3), წერდა: „...დესპოტიზმის ჭეშმარიტი და უღრმესი წინამძღვარი ძევს უცოდველობის იდეაში, აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობის თავისებურ, არსებითად მისტიკურ შეგნებაში. ...უცოდველობას... ორი მხრიდან მივყავართ დესპოტიზმთან: ადამიანს, რომელსაც თავი უცოდველად შეუცვნია, ასეთივე უფლებით მიაჩნია, რომ მოწოდებულია ძალდატანებით უხელმძღვანელოს ადამიანებს, ისე როგორც ადამიანებს, რომლებიც მის ამ უცოდველობას აღიარებენ, ასევე თავი ვალდებულად მიაჩნიათ, ბრმად დაემორჩილონ მას". ს. ფრანკის აზრით, ბრმა რწმენა და ბრმა მორჩილება არის სხვადასხვა გამოვლინება ერთი, საერთო საწყისისა — ავტორიტეტის გრძნობისა, როცა რომელიმე პიროვნება აღმართულია აბსოლუტურ და ზეადამიანურ სიმაღლეზე. ყოველგვარი ფანატიზმი არსებითად ამგვარ მისტიკურ რწმენაში ხორციელდება. ფანატიკოსს შეუძლია, თავისი თავიც და სხვებიც დაარწმუნოს იმაში, რომ მისი რწმენა ეფუძნება წმინდა რაციონალურ არგუმენტებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიურად, მისი რწმენა ყველა ამ არგუმენტზე მაღლა დგას და მათ მიღმაა. ისინი კი არ ემორჩილებიან რაციონალურ მოსაზრებებს და მათზე არიან დამოკიდებულნი, არამედ, პირიქით, თვით ირაციონალური რწმენა ეძებს თავისთავს შესაბამის არგუმენტებს (გვ. 119-124).

მოედანზე მოსული მასა, რომლის უმეტესი ნაწილი შედგება ადამიანებისაგან, რომლენიც ცხოვრებისა თუ წარსული სისტემისაგან თავს დაჩაგრულად, შეზღუდულად, პიროვნულად ღირსებაშელახულად გრძნობდნენ (უფრო ხშირად ქვეცნობიერად) საკუთარი „მე"-ს სუბლიმაციას, გადართვას ახდენდნენ „ძლიერ" პიროვნებაზე, მაყურებელი აღიარებდა მის სიდიადეს, მის ზებუნებრივ ძალას და სწამდა, რომ იგიც ნაწილია ამ ძალის, მისი შემქმნელია („სიყვარული ძლიერისადმი და სიძულვილი სუსტისადმი", როგორც იტყოდა ე. ფრომი). ამიტომაც, ამ თეატრში მიღწეულია პროტაგონისტისა და მაყურებლის (მსმენელის) განსაცვიფრებელი ერთიანობა. მასაზე ბატონობს თვით მის მიერვე შექმნილი უზენაესი ძალა და რაკი მის მიერაა შექმნილი, ამიტომაც, ეჭვმიუტანლად, ბრმად სჯერა მისი, ვერ ხედავს, რომ „მეფე შიშველია". მაგრამ მარტო გარემოცვა არა ქმნის მეფეს, თვით მეფემაც უნდა გაანძრიოს ხელი. თუ მთავარი როლის შემსრულებელია, უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მთავარ გმირს შეშვენის. პირველი რეჟისორული ძალისხმევა მიმართულია ე. წ. „მასოვკისაკენ". ხალხთა მასები გარკვეული გეგმით უნდა განლაგდნენ, ელემენტარული სიმეტრიისა და წესრიგის დასამყარებლად, რათა მთავარი მოქმედი გმირისათვის შესაბამისი ასპარეზი მომზადდეს. ახლა მთავარია, რომ რაც შეიძლება ეფექტური იყოს ამ გმირის შემოსვლა. იგი ერთბაშად, ფეთიანივით კი არ გამოვარდება სცენაზე მოყვარული მსახიობივით, რომელსაც გმირულ-რომანტიკული როლის შესრულება უკისრია. არა! საჭიროა გარკვეული ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა (მკითხველს შევახსენებ, რომ მოლიერის „ტარტიუფის" მთავარი გმირი ენითუთქმელი ფარისეველი, ცრუ და ორპირი ტარტიუფი მესამე მოქმედებაში შემოდის, როცა სიტუაცია სათანადოდაა მომწიფებული). სპექტაკლის „წამყვანების" (ორივე ხელოვნების სამყაროდან იყო მოსული — ერთი მედოლე, მეორე — ხელმოცარული რეჟისორი) რეპლიკების შემდეგ, ე. წ. მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, ეპიზოდური, მცირე როლების შემსრულებლები გამოდიოდნენ და მომიტინგეებს მოლოდინის განწყობილებას უქმნიდნენ და აი, საჭირო მომენტში, ანუ ზუსტად იმ დროს, როცა აუცილებელი ხდებოდა გმირის გამოჩენა, პრეზიდენტი — პროტაგონისტი გამოდიოდა თავისი ამალის თანხლებით. ადამიანთა სხეულებისაგან დაფარულ სივრცეში იგი თითქოს [illegible] გამოჩნდებოდა, უცნობი სამყაროდან, ქვევიდან ამოზრდებოდა, რათა შემდგომ „ამაღლებულიყო". ახლა ეწყობოდა თეატრალიზებული ქმედების და მონოლოგის წარმოთქმის მთავარი მომენტი. ჯერ ამ მონოლოგების შესახებ — ეს იყო უაღრესად პრიმიტიული ფრაზებისაგან შემდგარი ოპუსი. მაგრამ აქ იყო ფარულად ჩადებული დემაგოგიური განზრახვა: ეს გამოსვლა, ჩემის აზრით, ძალიან იყო გაპრიმიტივებული. შეუძლებელია, ქვეყნის პრეზიდენტს, განათლებულ ჰუმანიტარს ამგვარი ფრაზებით ელაპარაკა. იგი, ამ შემთხვევაში, შეგნებულად მიმართავდა თეატრალურ ეფექტს — ფართო აუდიტორიის გულის მოსაგებად იყენებდა მარტივ, მაგრამ სტანურ ხერხს — იგი თავს უტოლებდა (რასაკვირველია, მოჩვენებით) თავის თაყვანისმცემლებს, ეშვებოდა იმათ დონემდე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის დამახასიათებელი იყო შეხედულებათა სივიწროვე და გრძნობათა სიდუხჭირე.

ცნობილია, რომ არც ნაცისტთა ბელადის გამოსვლები არ გამოირჩეოდა ინტელექტუალური თუ ზნეობრივი მოსაზრებების დახვეწილობით. იგი, მხოლოდ იმ ფაქტებს განიხილავდა ხოლმე, რომელიც მისი თეზისების სისწორეს ადასტურებდნენ, რაც მისდამი არაკრიტიკულად განწყობილ მსმენელზე ზედმიწევნით ზემოქმედებდა. „გარდა ამისა, — შენიშნავს ერიხ ფრომი თავის ნაშრომში „ნეკროფილები და ადოლფ ჰიტლერი" (იხ. „ვოპროსი ფილოსოფიი", 1991, №9), — იგი ბრწყინვალე მსახიობი იყო და შეეძლო, მაგალითად, ძალზე ზუსტად გადმოეცა მიმიკა და ინტონაცია სხვადასხვა ტიპაჟისა. იგი სრულყოფილად ფლობდა თავის ხმას და თავისუფლად შეჰქონდა თავის გამოსვლაში შთაბეჭდილების მოხდენისათვის, საჭირო მოდულაციები". მისი სიტყვების თეატრალურ ეფექტს და ერთგვარ მაგნეტიზმს მიაქცევდნენ ყურადღებას, არა იმდენად პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და ისტორიკოსები, რამდენადაც სწორედ თეატრალურ სამყაროში დიდად ცნობილი მოღვაწეები. მაგ. პოპულარული დრამატურგი დიტრიხ ეკარტი (დამაარსებელი ნაცისტური გაზეთისა „ფელკიშერ ბეობახტერ", ავტორი გახმაურებული პუბლიცისტური ნარკვევისა „ბოლშევიზმი, მოსედან ლენინამდე. საუბარი ადოლფ ჰიტლერთან" და ლექსისა, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოუპოვა — „აღსდექ, გერმანიავ!"), დიდად ავტორიტეტული თეატრმცოდნე და დრამატურგი არნოლდ ბრონენი აღნიშნავდნენ, მის განსაცვიფრებელ თეატრალურ ფერისცვალებას.

ხოლო ბ. ბრეხტი, რომელიც გარედან უყურებდა ნაცისტურ [illegible], თავისებურად ცდილობდა ამგვარი ფენომენის ახსნას. მისი აზრით, ჰიტლერი, რასაკვირველია, ინტუიტურად, — „ფლობს აქტიორულ მეთოდს, რომლის მეოხებითაც, მას შეუძლია აიძულოს პუბლიკა, თითქმის ბრმად მიჰყვეს მას. ამ მეთოდის გამოყენებით, იგი აიძულებს ადამიანს, უარი სთქვას საკუთარ თვალსაზრისზე და დადგეს მის პოზიციაზე, დაივიწყოს საკუთარი ინტერესები, რათა ჩასწვდეს მის, — ჰიტლერის — ინტერესებს, იგი უბიძგებს მაყურებელს ჩაეღრმავოს ორატორის სულიერ სამყაროს, თვალყური ადევნოს მის განცდებს. იგი აიძულებს მათ მონაწილეობა მიიღონ მის საზრუნავში და ტრიუმფებში და ყოველნაირად ცდილობს, რათა მათ არ შეუმუშავდეთ რაიმე კრიტიკული აზრი ან საერთოდ გარე სამყაროზე რაიმე საკუთარი წარმოდგენა" (ბ. ბრეხტი, თეატრი, ტ. 5/2. რუსულ ენაზე).

ჩვენს პროვინციულ თეატრშიც მსგავსი ამბები ხდებოდა. მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი მასა მონუსხულივით უსმენდა და შესცქეროდა თავისი კერპის სიტყვებს და მოქმედებას. იგი ფანატიკურად უყვარდათ, როგორც მესია და როგორც ჩვეულებრივი, მათი მსგავსი ადამიანი. ერთის მხრივ, მასა ბრმად, უკრიტიკოდ აღიარებდა მის სიდიადეს, განსაკუთრებულობას, მეორეს მხრივ, ეთაყვანებოდა მის „ადამიანურობას", ჩვეულებრიობას. მისგან არავითარ არგუმენტს არ ითხოვდნენ, მისი ყოველი სიტყვა, თვით ფანტასტიკური სიცრუეც, კი, აღიქმებოდა, როგორც ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია. ამ მხრივაც, იგი ერთგვარი ანარეკლი იყო გერმანელთა მესიისა, რომელიც — ისევ ბ. ბრეხტის თქმით, — კი არ საჭიროებდა თავისი თეზისების ჭეშმარიტ არგუმენტაციას, არამედ საჭიროებდა იმ კაცის როლის შესრულებას, რომელიც თავისი თვალსაზრისის არგუმენტაციას ახდენს იმ მიზნით, რომ მაყურებელი მის სახე-ხატში გარდაისახოს, გათქვიფოს მასში.

ახლა რომ შესაძლებელი იყოს ყოფილი პრეზიდენტის გამოსვლების სიტყვების წაკითხვა, ალბათ, უაღრესად განგვაცვიფრებდა არა მარტო „როლის ტექსტის" პრიმიტიულობა, არამედ ულოგიკობა, აბსურდულობა და, უმეტეს შემთხვევაში, სპონტანური სიცრუე. სიცრუე — ასე ვთქვათ — პირველი შემსრულებლის იმპროვიზაციები იყო. ხშირად ეს ტყუილი იქვე, მომენტის შესაბამისად იბადებოდა. ცრუ აზრს ბევრჯერ ნამდვილად მომხდარი ფაქტი თუ მოვლენა უმაგრებდა ზურგს. მაგრამ ამ აზრსა და ამ მოვლენას შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. სიცრუისა და სინამდვილის ეს ნაზავი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის იყო გამიზნული. მთავარი იყო მასის აღფრთოვანება, ხოლო ტყუილსა და მართალს ვინ დაეძიებდა.

ცხოვრების კვალდაკვალ

პ. კაკაბაძის „კახაბრის ხმალის" გმირი გაიძვერა ლიპარიტე ამბობს — „სიმართლის ამბავი ასეთია — ის ყველა ენაზე უცხოა და არავის ესმის. სიმართლის მთარგმნელობითაც ვერავის გააგებინებ. ტყუილი კი, თუ გინდა უცხოენაში წაიღე, ყველა ხალხი [illegible] ღიმილობს, თვითონ [illegible] რომ ასჯერ გატყუდე, მაინც მოგისმენენ და დაგიჯერებენ... ამიტომ, როცა საქმეს შეუდგები, სულ ტყუილებს ულაპარაკობ, ხოლო, რადგან სულით მაღალი ვარ, იმ ტყუილით მართალ საქმეს ვაკეთებ და ღმერთიც მხმარებს".

მაგრამ ვინ გაბედავდა ამ აღფრთოვანებულ მასა-მაყურებელში (რომელიც ამავე დროს, სპექტაკლის მონაწილედაც გრძნობდა თავს, და ამითაც იყო სანეტაროდ გაბრუებული) ეჭვი გამოეთქვა მოსმენილის ჭეშმარიტებაში... „ვინ არის ისეთი ბრიყვი, რომ ვერ მიხვდეს სიმართლეს? მაგრამ ვინ არის ისეთი თავზეხელაღებული, რომ გაბედოს და თქვას, მიხვდაო", ამბობს შექსპირი („რიჩარდ III"-ში).

ეს თითქოსდა, იყო შეთქმულთა, შეფუცულთა თეატრი, სადაც მასა (მაყურებელი) და მთავარი გმირი ერთმანეთს ენდობოდნენ, ერთმანეთს უგებდნენ. ამიტომ, „რეჟისორთა" ყოველი ცდა იქით იყო მიმართული, რომ ეს ერთსულოვნება და მთლიანობა არ დარღვეულიყო. ამ ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, ძირშივე აღიკვეთებოდა კრიტიკა. კრიტიკული შენიშვნა ან ეჭვი უმალ სამშობლოს, ერის ღალატად ცხადდებოდა, მაგრამ ხომ შეიძლება სიმართლე „გარედან" შემოსულიყო ამ თეატრში? ეს რომ ასე არ მომხდარიყო, შეიქმნა ვაკუუმი, იზოლირებული სივრცე, სადაც არა თუ კრიტიკა, არამედ აუცილებელი ინფორმაციაც ვერ შეაღწევდა (გაიხსენეთ ექსპრეზიდენტის მიერ ამაყად განცხადებული „მე ავკრძალე რუსეთის ტელევიზიის გადაცემების მიღება"). თუ ამ იზოლაციაში ზოგადად, სახელმწიფოებრივი მასშტაბით, რაღაც ალბანური მოდელი თუ ტიბეტური დალაილამას მმართველობის კარჩაკეტილობა იგულისხმებოდა, კერძო შემთხვევაში — ანუ „ქუჩის თეატრის" მოვლენასთან დაკავშირებით, ამან სავსებით პლასტიკურ-დეკორატიული გადაწყვეტა ჰპოვა. ჯერ კარვები დაიდგა, სადაც შესახლდნენ თანამედროვე ფურიები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით და შეუპოვრობით ეკვეთებოდნენ ხოლმე მათთვის არასასურველ პიროვნებებს. ისინი, თუ ძველ ბერძნულ თეატრს გავიხსენებთ, არისტოფანეს კომედიის „ლისისტრატეს" ქალებივით, უპირველესად, მამაკაცებს (პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიებიდან) მტრობდნენ. ერინიებივით ბოლომდე მისდევდნენ მსხვერპლს და პირდაპირ სულს ხდიდნენ მას (თუმცა, პრეზიდენტყოფილს ისინი ევმენიდებად — „კეთილისმყოფელ ღვთაებებად" მიაჩნდა). ქალთა ეს „ქორო" ანტიკური დრამის ქოროებისგან განსხვავებით, თავს კომენტარებით და რეჩიტატივით კი არ იზღუდავდა, არამედ ამ ტრაგი-კომიკური თეატრის აქტიურ, ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად იქცა, რომელიც მრავალმხრივ განსაზღვრავდა სიტუაციის დრამატიზმს, მაგრამ თეატრის „სამხატვრო ხელმძღვანელობა", აქ არ გაჩერებულა: მთავრობის სასახლის წინ ახალი დეკორაციები გაჩნდა — უზარმაზარმა, სატვირთო მანქანებმა, ავტობუსებმა შემოზღუდეს სივრცე. სცენური გარემოს იზოლაციის პროცესი ამით დამთავრდა და დაიწყო ტრაგიფარსის ახალი მოქმედება, რომელსაც პირობითად „ეროვნული იდეოლოგიის თეატრალიზაცია" შეიძლება ვუწოდოთ.

თეატრის ძირითად, ლაიტმოტივად იქცა სიძულვილის თემა. მეთოდურად ინერგებოდა ზიზღი სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებისადმი, მათი დამცირება და შეურაცხყოფა. ფილოსოფოსი კ. ლორენცი თავის ნარკვევში „ცივილიზებული ადამიანის რვა სასიკვდილო ცოდვა" (იხ. „ვოპროსი ფილოსოფიი", 1992, №3) [illegible] კლასიკური ნიმუშები, თუ როგორ გადადიოდა ჰიტლერი მშვიდი მეტყველებიდან, გაწონასწორებული ჟესტებიდან სრულ ეგზალტაციაზე ან დისჰარმონიაზე. ჩვენი პროვინციელი ფიურერი კი უცებ ვარდებოდა ტრანსში, რაღაც არაბუნებრივად იქნევდა ხელებს, ჰაერს ეპოტინებოდა, თითქოს სურდა, უხილავი მტრის დახრჩობა. ყველა მისი ჟესტი ამ დროს იყო ანგარიშმიუცემელი, არაადეკვატური, ჩვეულებრივი ადამიანური ქცევისათვის უცხო. და რადგან ეს ჟესტიკულაციური კოდექსი ქცევის ნორმების მიღმა იყო, მის ფანატიკოს მაყურებლებს მისი სიდიადის, უჩვეულობის, განუმეორებლობის ნიშნად მიაჩნდათ. მისდამი კრიტიკულად განწყობილ ადამიანში ეს აბდაუბდა ჟესტები (და ასეთივე წამოძახილები) ამაზრზენ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ხოლო თაყვანისმცემლებში აღტაცებას, აღტკინებას, ექსტაზს. ყველაფერი ეს რომ ნამდვილ სცენაზე გვენახა, მაყურებელში ჰომერულ ხარხარს გამოიწვევდა, როგორც პამპულა-მასხარები იწვევენ ხოლმე მაშინ, როცა ვინმე დიდ პიროვნებას ბაძავენ. მაგრამ მოედნის სცენაზე გათამაშებული ეს ტრაგი-ფარსი, სამწუხაროდ, მძიმე შედეგით მთავრდებოდა — მასების გამოთაყვანებით, გონის დაბნელებით. ეს მასობრივი მანქურთიზმი და ინტელექტუალური სტერილიზაცია ისე აბრმავებდა ხალხს, რომ ხშირად, იქმნებოდა ფანტასმაგორიული, პირდაპირ სიურეალისტური სურათი, განსაკუთრებით თანამოძმეების დარბევების შემდეგ — როცა ღამით, პროსპექტზე დანთებული კოცონის ირგვლივ დახტოდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ გამარჯვებით მთვრალი, ნგრევის, განადგურების ინსტინქტით აღტაცებული ადამიანები.

ერიხ ფრომი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ფიურერის მკვეთრად გამოკვეთილ მიდრეკილებას ნეკროფილიისადმი. ამ ცნებაში იგი არ გულისხმობდა სექსუალურ-პათოლოგიურ გადახრას. ეს არისო დაუცხრომელი ლტოლვა ყველაფერი მკვდარისადმი, ხრწნადისადმი, ლპობადისადმი, არაჯანსაღისადმი. ეს ვნება ცოცხალს მკვდრად აქცევს, ყველაფერს ანგრევს მხოლოდდამხოლოდ ნგრევისათვის. ეს არის მეტისმეტი ინტერესი ყველა წმინდა მექანისტურისადმი. ეს არის მისწრაფება ცოცხალი სტრუქტურების დაშლისაკენ. ეს იყო მისი ხასიათის დომინანტი. ნგრევა-განადგურების მთავარი ობიექტები კი — ქალაქები და ადამიანები. იგი შესაშური ენთუზიაზმით იხილავდა დიდი ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმებს, მაგრამ ეს იმავე დროს, ის ადამიანი იყო, რომელსაც უნდოდა დაენგრია პარიზი, მიწასთან გაესწორებინა ლენინგრადი და ბოლოსდაბოლოს, გაენადგურებინა მთელი გერმანია". დღევანდელი ამბების მომსწრე მკითხველს არ გაუჭირდება პარალელების გავლება, მეტიც, საერთო ნიშნების ამოცნობა.

ნგრევის, განადგურების ამ ინსტინქტს (უმჯობესია ვთქვათ — შეგნებულ მისწრაფებას), წარმართავდა გრძნობა, **სიძულვილისა** და მოედნის თეატრის სცენიდან გამუდმებით ისვრებოდა ამ სიძულვილის ამაზრზენი სიბინძურე, რომელსაც უნდა გაესვარა ყველაზე გონიერი, განათლებული, დიდი ნიჭიერებით და ზნეობით შემკობილი ადამიანები, სწორედ ისინი, რომლებიც ერის სახეს, მის სულიერ კულტურას ქმნიდნენ. მხოლოდ გამოჩენილი ადამიანების დამცირებით ცდილობდნენ ამაღლებას, მათი მოსპობით — თვითდამკვიდრებას. ამის მაგალითს მასობრივი „სანახაობის" მთავარი გმირი იძლეოდა, რომელიც თავის ანტაგონისტად, ხან უდიდეს სახელმწიფოთა ლიდერებს, ხან სახელგანთქმულ თანამემამულეებს ირჩევდა და აქედან უმართავდა ორთაბრძოლებს, საიდანაც ის, რასაკვირველია, გამარჯვებული გამოდიოდა. ამ გამარჯვების შთაბეჭდილება უნდა განემტკიცებინათ სამეფო კარის მასხარა-პამპულებს და იგიც, მონარქის გულმოწყალებით, უყურებდა თავისი მთავარი მასხარა Fool-ის (Fool — მასხარასაც ნიშნავს და სულელსაც) უსასრულო მანჭვა-გრეხას, უსმენდა მის აბდაუბდას, რომელიც თავისი აბსურდულობით იტალიური კომედია დელ არტეს ერთ-ერთი მთავარი ნიღბის — ბრიგელას უთავბოლო რატრატს მიაგავდა. აქაც თეატრალური ხერხი იყო ნახმარი — სხვის თვალში რომ დიდი გამოჩნდე, გვერდზე მუდამ უნდა იყოლიო ყურცქვიტა მასხარა, რომელიც მშვენიერ ფონს ქმნის დიდი თამაშისათვის საყოველთაო ტრაგედიაში, მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ თვით მონარქები ვერ გრძნობენ, თუ რა ხშირად უცვლიან თავიანთ ტრაგიკულ ნიღბებს მასხარა-პამპულებს. „ტრაგიკული როლის თამაში არც ისე ძნელია — ამბობს რ. სტურუას სპექტაკლის „რიჩარდ III"-ის მასხარა — დავიწყებ თუ არა ლაპარაკს, თვალებს დავაბრიალებ, ფეთიანივით შევკრთები უბრალო ფაჩუნზე და უსაზღვრო სევდა გადმომეღვრება მწარე ღიმილში. ასე ვიქცევი და მიზანსაც ვაღწევ".

დიახ, სამწუხაროდ, მიზანსაც აღწევდა. მაგრამ ამ თეატრის მთავარი გმირისათვის საკმარისი არ იყო პირადი მტრის, ანტაგონისტის ხატის შექმნა. აუცილებელი იყო, რათა მასებს გაეცნობიერებინათ და ერწმუნათ, რომ ახალმოვლენილი მესიის მტერი მათი პირადი მტერიცაა. აქედან, ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა მთავარი მოქმედი პირის სიმბოლიზაციამდე. და ეს ნაბიჯიც გადაიდგა. ყოფილი პრეზიდენტი გადააქციეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდ, შემდეგ „ერთიანი და განუყოფელი საქართველოს" სიმბოლოდ (გაიხსენეთ გულისამრევი სიმღერა „ზვიადი საქართველოა..."), ამიტომ ყოველი კრიტიკული სიტყვა სახე-სიმბოლოს შეურაცხყოფად აღიქმებოდა, ყველა განსხვავებული აზრი — სამშობლოს ღალატად და ასე შეიქმნა ჯადოსნური წრე, რამაც, როგორც უკვე აღვნიშნე, პლასტიკურ-სივრცობრივი გამოხატულებაც ჰპოვა მოედნის „გაფორმებაში"... შენობებით, სატვირთო მანქანებით, ავტობუსებით ოთხივე მხრიდან შემოზღუდული „სცენა", მთავრობის სასახლის პროსცენიუმი და „მაყურებელთა დარბაზი" — მოედანი, და რუსთაველის პროსპექტი, რომელზედაც იმართებოდა ტამ-ტანდური, სიმღერა.

ცნობილი ფილოსოფოსი ფ. ხაიეკი თავის წიგნში „გზა მონობისაკენ", რომელშიც ღრმადაა გაანალიზებული ტოტალიტარიზმის არსი (იხ. „ვოპროსი ფილოსოფიი", 1990, № 10, 11, 12), ასეთ კითხვას სვამს: რატომ მოდიან ხელისუფლებაში ყველაზე უარესნი?. მისი აზრით, არის სამი მიზეზი, რომელიც ხსნის, თუ რატომაა, რომ ადამიანთა შედარებით ძლიერ და დიდ ჯგუფში, რომელთაც საერთო ცნობიერება აერთიანებთ, ნებისმიერ საზოგადოებაში, არა თავიანთ საუკეთესო, არამედ ყველაზე უარეს წარმომადგენლებს მოიყვანენ ხოლმე სათავეში. და ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ხდება მმართველური ბირთვის ფორმირება, მხოლოდდამხოლოდ ნეგატიურია.

უპირველესად, რაც უფრო განათლებული და ინტელიგენტურია ადამიანი, მით უფრო მრავალფეროვანია მისი შეხედულებანი და გემოვნება, ამიტომაც, მით უფრო ძნელია მათგან მოველოდეთ ერთსულოვნებას ფასეულობათა ნებისმიერი სისტემის დროს. თუ ჩვენ გვსურს მივაღწიოთ შეხედულებათა ერთფეროვნებას, მაშინ, უნდა მოვიმხროთ საზოგადოების ის ფენა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაბალი ზნეობრივი და ინტელექტუალური დონე, პრიმიტიული, ტლანქი გემოვნება და ინსტინქტები. უპირველესად, უნდა მივიდეთ ბრბოს „მასის" (ამ სიტყვის გამანადგურებელი გაგებით) ხალხთან, ყველაზე ნაკლებად ორიგინალურ და ნაკლებად დამოუკიდებელ ადამიანებთან, რომელთაც თავიანთი სიმრავლის მეოხებით შეუძლიათ იდეოლოგიური ზემოქმედება. ამიტომაც, ლიდერმა განუწყვეტლივ უნდა იზრუნოს ამ მასის რიცხობრივ ზრდაზე. აქ ამოქმედდება შერჩევის მეორე ნეგატიური კრიტერიუმი: ყველაზე ადვილია მალემრწმენი და მორჩილი ადამიანების მხარდაჭერის მოპოვება. მათ არა აქვთ საკუთარი შეხედულებანი და თანახმანი არიან მიიღონ მზა ფასეულობათა ნებისმიერი სისტემა, თუ ამას ჯეროვანი სიბეჯითით ჩავუბეჭდავთ თავებში — ერთი და იმავე ხშირი და ხმამაღალი გამეორებით. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ჯორჯ ორუელის სახელგანთქმული რომანის — „1984" ერთი საგულისხმო პასაჟი. რომანის მთავარი გმირის უინსტონის ქვეყანაში (იგულისხმება სსრკ) ყოველდღიურად ეწყობა „სიძულვილის ორწუთიელი" (ამის გარდა, იმართებოდა დიდმასშტაბიანი „სიძულვილის ორკვირეულები"). ყოველ დღე, ორი წუთის განმავლობაში, უზარმაზარ ტელეეკრანზე უჩვენებენ ხალხის მტრის სახეს და დიქტორი ხმამაღლა, დაუსრულებლად იმეორებს ერთსა და იმავე ტექსტს. ქვეყნის მეთაურის — „უფროსი ძმის" ფანატიკურ თაყვანისმცემლებში უკვე ოცდაათი წამის შემდეგ იწყება „სიძულვილი" და მაყურებელთა ნახევარი თავს ვეღარ იკავებს გაავებული წამოძახილებისაგან. უინსტონს ეზიზღება, როგორც სისტემა, ასევე მისი დესპოტი ლიდერი. მაგრამ ამ საყოველთაო ვაკხანალიაში, რაღაც წამიერი გამონათების ჟამს, აღმოაჩენს, რომ იგიც სხვებთან ერთად ღრიალებს და მთელის ძალით ურტყამს ხელს სკამის სახელურს. „სიძულვილის ორწუთიელის" მთელი საშინლება ის კი არ იყო, რომ რაღაც როლი უნდა გეთამაშა — დასაკვნის მწირალი — არამედ ის, რომ არ შეგეძლო განრიდებოდი ამ საგიჟეთს, „თითქოს ელექტრონული ტალღებიდან მთელ კრებას თავს დაატყდა შიშისა და ეჭვიანობის ამაზრზენი კრუნჩხვები, გამომათაყვანებელი სურვილი ვინმეს მოკვლის, დაგლეჯის, სახეში უროს ჩარტყმის. ხალხი იჭყანებოდა და ღრიალებდა, ყველანი გიჟებად იქცნენ".

აქვე შეიძლება დავასახელოთ „აბსურდის თეატრის" მამამთავარის ეჟენ იონესკოს პიესა „მარტორქა" — როცა ბრბოს ჯოგური ინსტინქტები, ათასგზის გამეორებული ერთი და იგივე ფრაზები, მთავარ გმირს, წესიერ და მშვიდ ბერანჟეს გახელებულ მხეცად, მარტორქად აქცევს.

მესამე — და, შესაძლოა, ყველაზე მთავარი კრიტერიუმი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი დემაგოგისათვის: ადამიანების ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ისინი გაცილებით ადვილად აღწევენ შეთანხმებას ნეგატიური პროგრამის საფუძველზე (ეს იქნება მტრისადმი სიძულვილი ან შური დაწინაურებულის მიმართ), ვიდრე იმ პროგრამისა, რომელიც პოზიტიურ ამოცანებსა და ფასეულობებს ეყრდნობა. „ჩვენ" და „ისინი", ჩვენიანები და უცხონი, აი ის დაპირისპირებანი, რომლებიც განუწყვეტლივ მძაფრდება იმათთან ბრძოლით, რომლებიც არ არიან მათ მხარეს.

ასეთი ჯგუფური ცნობიერებით ერთიანდებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ყველანაირი მოქმედებისათვის და ნებისმიერი ლიდერი, რომელიც არა მარტო პოლიტიკურ მხარდაჭერას, არამედ მასების უსიტყვო მხარდაჭერას ეძებს, შეგნებულად იყენებს ყოველივე ამას საკუთარი ინტერესებისათვის... მტრის ხატი — სულ ერთია, შინაური თუ უცხო მტრისა — აუცილებელი იარაღია ყოველი დიქტატორის არსენალში.

ჩვენს შემთხვევაში, სამივე ეს ნეგატიური კრიტერიუმი მთელის სისრულით იყო ამოქმედებული სრულიად საქართველოს მასშტაბით, რაც ასე მკვეთრად გამოიხატა „პროვინციული ფაშიზმის" „პროვინციული თეატრის" გათამაშებულ სპექტაკლებში.

„ჰიტლერის ხარიზმა — შენიშნავს ცნობილი გერმანისტი, ბრეხტის შემოქმედების მკვლევარი და მთარგმნელი ვ. კლიუევი — ჩამოყალიბდა შეშლილობის, პროვინციული დემონიზმის და ვულგარიზმის ნაზავისაგან" (იხ. „სოვრემენნაია დრამატურგია", 1992, №5/6).

სამივე ეს ელემენტიც ადვილი ამოსაცნობია ჩვენი პროვინციული ფიურერის „ხარიზმაში".

ინფორმაცია 93

დიაგნოზი ტელეფონით

ისრაელში შექმნეს ხელსაწყო, რომელიც საშუალებას აძლევს ასთმიან ავადმყოფებს თავიდან აიცილონ მწვავე შემოტევა სუნთქვის რეგულარული კონტროლის საშუალებით, რაც... ტელეფონით ხდება.

პაციენტს მხოლოდ ის ევალება, რომ დღეში ერთხელ ან რამდენჯერმე, ექიმის რჩევით, ჩასუნთქოს სპეციალურ მილში, რომელიც ტელეფონთან არის შეერთებული. ავადმყოფის მდგომარეობის დიაგნოსტიკისათვის საჭირო მონაცემები ავტომატურად გადაეცემა საავადმყოფოს კომპიუტერს, რომელიც დაუყოვნებლივ იძლევა თავის დასკვნას.

„თუ კომპიუტერი დაადგენს, რომ არსებობს შეშფოთების საფუძვლიანი საბაბი, — აღნიშნავს ხელსაწყოს ერთ-ერთი ავტორი, თელ-ავივის ჰოსპიტლის შინაგან სნეულებათა განყოფილების ექიმი მარსელ ტოპილსკი, — პაციენტი შეიძლება სასწრაფოდ გამოიძახონ სამედიცინო ცენტრში ანდა ურჩიონ მას გამაფრთხილებელი რეჟიმი".

ტელეფონით დიაგნოსტიკის ხელსაწყო შეიმუშავეს ფირმა „შახალმა" და ისრაელის ელექტრონულმა კონცერნმა „ტადირანმა" ამერიკელ პარტნიორთან — ფირმა „სერვაბლ ტექნოლოგიეს ლიმიტედთან" (ვაშინგტონი) თანამშრომლობით.

ა. ვიგნანსკი.

ადამიანის უფლებათა დასაცავად

ორმოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.

ცხადია, ეს დღე ფართოდ აღინიშნება საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ხომ ახლახან დაადგა დემოკრატიზაციის გზას. იგი გაეროს წევრი ქვეყანა გახდა, იბრძვის მსოფლიოს დემოკრატიულ, დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები, განუხრელად განხორციელდეს გაეროს 1948 წლის ათი დეკემბრის დეკლარაცია. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გამგეობამ ამ დღეებში მიმართა ქვეყნის მშრომელებს და მოუწოდა გაერთიანდნენ ჩვენს წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, ერის მთლიანობის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კრიმინალური ქრონიკა

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს კახეთის რეგიონის სამხედრო პროკურორმა გია მიქაძემ აცნობა, თელავის რაიონში სოფელ აკურის საგუშაგოზე სამხედრო პოლიციელებმა გააჩერეს მანქანა, რომელშიც იჯდა ოთხი ახალგაზრდა, მათ შორის სოფელ აკურის მკვიდრი პაატა აბულაძე და თელავის მაშველთა კორპუსის წევრი ზაქრო ლუცუბიძე. პაატა აბულაძემ შელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა სამხედრო პოლიციის თანამშრომელი იგორ კუსრაშვილი. ამის საპასუხოდ პოლიციის თანამშრომელმა ადგილზე მოკლა პაატა აბულაძე და მძიმედ დაჭრა ზაქრო ლუცუბიძე. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. გუდაუთის რადიოთი გამოსვლისას, აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა აგრბამ განაცხადა, რომ ჟენევაში მიღწეული შეთანხმება ჯერ არაფრით არ ავალდებულებს აფხაზებს. თუმცა დიალოგი საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაგრძელდება, მაგრამ მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

თბილისი. ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფებაში გაიმართა რუსეთის ფედერალური საბჭოს არჩევნები და რეფერენდუმი კონსტიტუციის თაობაზე. „იბერიას" კორესპონდენტის ცნობით, მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტმა. საბოლოო შედეგები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა უმრავლესობამ (სამხედროებმა და მათმა ოჯახებმა) ხმა მისცა საარჩევნო ბლოკ „ახალ რუსეთსა" და მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის პოლიტიკურ კურსს.

გერმანიაში მცხოვრები ბერძენი საქართველოს მხარეზე

დასავლეთ ბერლინის ცენტრში, გროიმანშტრასაზე, 20 წლის წინათ, კოსტას პაპანასტასიუმ თავისი პატარა რესტორანი გახსნა.

„ვეხმარებით საქართველოს" — ეს აბრა შემოსასვლელში ჰკიდია. კოსტასი 4-ჯერ იყო საქართველოში და აღფრთოვანებულია ჩვენი ქვეყნით, ქართული წეს-ჩვეულებებით. და ახლაც, როდესაც საქართველოს გაუჭირდა, ჰუმანიტარულ დახმარებას აგზავნის ტანსაცმლის, მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების სახით. ჩემი იქ ყოფნის დროს, მის მეგობარ ბერძნებს და გერმანელებს, განუწყვეტლივ მოჰქონდათ წამლები და პროდუქტები. კოსტასთან ვიჯექი და თავი ისევ თბილისში მეგონა. კედლები აჭრელებული იყო ქართული სახელებით, თბილისის ხედებით... კოსტასმა „სულიკო" იმღერა, მერე ბერძნული სიმღერა თბილისზე, ბოლოს, მთელი რესტორანი აჰყვა ამ სიმღერას...

კოსტასი დაიბადა საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილში ქ. არტესიანოს მახლობლად, გერმანიაში სასწავლებლად ჩამოვიდა, აქ გერმანელი ქალი შეირთო ცოლად. მშობლები გარდაიცვალნენ, მაგრამ საბერძნეთში ძმა ჰყავს და ჩემს შეკითხვაზე, — საბერძნეთში დაბრუნებას თუ აპირებს, მიპასუხა, რომ ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და როდესმე აუცილებლად დაბრუნდება. მომავალი წლის თებერვალში, გერმანიის ტელეეკრანებზე გამოვა ახალი მრავალსერიიანი ფილმი, რომელშიც კოსტასი თამაშობს. „მე ამ სერიალში საქართველოს თემა ავირჩიე და რეჟისორიც სიამოვნებით დამთანხმდა".

დეკემბერში კოსტას პაპანასტასიუსი თბილისში ჰუმანიტარული დახმარების ჩამოტანას აპირებს.

რუსუდან მანჯგალაძე,

დეპეშათა სააგენტო „ილვაპრესის" საკუთარი კორესპონდენტი ბერლინში. სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის".

* * *

როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გვითხრეს, კოსტას პაპანასტასიუსი ამჟამად ჩვენს დედაქალაქშია და თან (უკვე მეოთხედ) ჰუმანიტარული დახმარებაც ჩამოიტანა. კერძოდ: საკვები პროდუქტები, ფქვილი, შაქარი, რძის ფხვნილი... გარდა ამისა, ტანსაცმელი ლტოლვილებისათვის, სამედიცინო აპარატურა, მედიკამენტები...

ღმერთო, უმრავლე საქართველოს ასეთი მეგობრები.

ქართველ კარატეისტთა წარმატება უშუს მსოფლიო ფესტივალზე



აღმოსავლური ორთაბრძოლების ბევრი მიმდინარეობა დიდად პოპულარულია საქართველოში. ქართველმა კარატეისტებმა კი უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ასპარეზზე, აღიარება მოიპოვეს.

მარტო საბრძოლო ხელოვნების დაუფლება, ფიზიკური წრთობა და მიღწევები ცალკეულ ასპარეზობებში არ არის აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატების ძირითადი მიზანი. აქ უპირველესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდის მაღალი ზნეობის, შინაგანი სულიერი ღირებულებების დახვეწა-დამკვიდრებას. ამას უმთავრესი ყურადღება ექცევა მსოფლიო რანგის ასპარეზობებსა და ფესტივალებზე.

საქართველოს გოჯუ-რიუ კარატე-დოს ფედერაცია, უკვე მესამე წელია მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრია და სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო ასპარეზობებსა და ფესტივალებში.

საქართველოს ფედერაციის ნაკრებმა სან-დიეგოს საერთაშორისო ტურნირზე ორი ოქროს მედალი, სანმარკოს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი, ხოლო ალმა-ათის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს „გოჯუ-რიუს" ფედერაციის ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

საქართველოს სრულიად ახალგაზრდა გუნდით კარატეს ცნობილი დიდოსტატები დაინტერესდნენ. მსოფლიო ფედერაციის მთავარმა ინსტრუქტორმა სახელგანთქმულმა ოკინაველმა მორიო ჰიგონამ კარატეს ამ სახეობის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი და მთავარი ინსტრუქტორი პაატა ჰელიძე უმაღლესი საბჭოს ინსტრუქტორთა შეკრებებზე და პროფესიონალ კარატეისტთა საჩვენებელ გამოსვლებზე მიიწვია, რამაც ქართველ სპორტსმენებსა და მათ ხელმძღვანელს ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა მსოფლიოში.

ახლა საქმე ისე წავიდა, რომ თვით ამერიკული პროფესიული კარატეს ლიგის ატლანტის შტატის მთავარი ინსტრუქტორი პოლ ბრიჯი მსოფლიო ფედერაციის რეკომენდაციით თბილისში პაატა ჰელიძის მეთვალყურეობით გადიოდა სტაჟირებას.

ყოველივე ამით ხელმძღვანელობდა მსოფლიო ფედერაცია, როდესაც ქართველ „გოჯურიუელებს" მისცა რეკომენდაცია ამერიკის, ჰონკონგისა და ოკინავას სკოლებთან ერთად წარედგინა კარატეს ეს უძნელესი სკოლა უშუს მეათე მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც მოეწყო 6-დან 12 ნოემბრამდე აღმოსავლური ორთაბრძოლების სამშობლოში, სამხრეთ ჩინეთის ქალაქ ფუჯოუში შაოლინის სამონასტრო კომპლექსის მესვეურთა ეგიდით.

ამ ასპარეზობაზე მსოფლიო ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორის მორიო ჰიგონას გადაწყვეტილებით საქართველოს ნაკრებსა და მის მთავარ ინსტრუქტორს პაატა ჰელიძეს დაევალა წარედგინათ ამ სკოლის მთელი საბრძოლო არსენალი, რაც მსოფლიოს უპირველესი დიდოსტატისაგან ქართული კარატეს სკოლის აღიარებასთან ერთად მის ავტორიტეტზეც მეტყველებს.

პროფესიულ კარატეს ასპარეზობებში ქართველ სპორტსმენთა ასეთმა გამოჩენამ, თანაც ასეთი მაღალი რეიტინგით, ცხადია, მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ამაზე წერდნენ ჩინეთის გაზეთები, გადასცემდნენ სხვადასხვა სატელევიზიო პროგრამები. ხოლო ამ სტილის სამშობლოს — ოკინავას წარმომადგენლებმა დიდი შეხვედრა და კონცერტი გაუმართეს, ქართველ სპორტსმენებს და მადლობა გადაუხადეს მათ ოკინავური ორთაბრძოლების ხელოვნების ფესტივალზე ასე დიდებულად წარდგენისათვის.

— ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო ამ ფესტივალზე, ასე გვითხრა ფესტივალის ორგანიზატორმა, ჩინეთის უშუს ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა ლი დუანმა, — თქვა ჩვენთან საუბარში ქართველ „გოჯურიუელთა" სენ-სეიმ პაატა ჰელიძემ. აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებაში უმთავრესია ეგრეთ წოდებული კატების (ვარჯიშების) დემონსტრირება. ამ ასპარეზობაში ჩვენი ნაკრების წევრებს — ბექა დვალსა და სანდრო მაისურაძეს კონკურენტებად ჰყავდათ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი ტადაჩი ნაკამურა, ევროპის ჩემპიონი დანიელი ტორშენ სვენსონი და ასპარეზობის მასპინძელი, ჩინეთის ჩემპიონი — კინგ შინ კუი. და ამ ურთულეს პაექრობაში სანდრო მაისურაძემ ორი, ხოლო ბექა დვალმა ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. საქართველოს ნაკრებს გადაეცა ოქროს მედალი და ფესტივალის სამახსოვრო თასი. ჩვენმა წარმატებამ სპორტის ამ სახეობის მრავალი მესვეური დააინტერესა, ბევრი მიწვევა მივიღეთ სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ახლა გაფორმების სტადიაშია ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლებში გაერთიანებულ სპორტსმენებს რესპუბლიკის გოჯურიუს ფედერაციის რეკომენდაციით, შესაძლებლობას მისცემს სტაჟირება გაიარონ სამხრეთ ჩინეთის საბრძოლო ხელოვნებათა სკოლებში, მათ შორის სამხრეთ შაოლინის სამონასტრო კომპლექსის ცნობილ სკოლაშიც.

დღეს ყველანი კმაყოფილები ვართ იმით, რომ ღირსეულად დავიცავით ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება, უდიდესი თანადგომა გაგვიწიეს ჩვენმა ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა, ფირმა „ლავრის" პრეზიდენტმა ლავრი ფირცხალაიშვილმა, „არაგვი ბიზნეს ბანკის" მესვეურებმა და საქართველოს მოსკოვის საელჩომ.

— მინდა ფედერაციის სახელით ულრმესი მადლობა მოვახსენო მათ უდიდესი ძალისხმევისა და დახმარებისათვის, — დასძინა დასასრულს პაატა ჰელიძემ.

გია პლატონიშვილი.

განგაშის ზარი!

მანდარინი შველას ითხოვს!

ყოველდღიურად ათეულობით ტონა მანდარინი იკრიფება აჭარის ბაღებში. ხვავდება ჭირნახული. იმ 40 ათას ტონა მანდარინს, რომელსაც აქ წლევანდელ სეზონზე მოელიან, ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი რესპუბლიკისათვის, თუ მას საზრიანად და მიზანმიმართულად გამოვიყენებთ, მაგრამ ვიყენებთ?

თითქოს ვიცით, რა დღეშიც ვართ... ყოველდღიურად ყველა შეშფოთებით მოველით, თუ როდის გადაგვიკეტავენ ცისფერ ალს გაზქურებში, როდის აღმოვჩნდებით სრულიად ხელმოცარულნი ამ სუსხიანი ზამთრის წინაშე. მაშინ, როცა შეგვეძლო ამ ნარინჯისფერი ნაყოფით, რომელზეც ესოდენ დიდი მოთხოვნილებაა რუსეთშიც და თურქმენეთშიც, იმ უდიდესი ვალის ნაწილიც გადაგვეხადა და თანაც ჩვენებური მიწის ნაყოფის მადლით ოდნავ მაინც გაგვეთბო მევახშეთა გული.

სამთავრობათაშორისო გარიგებით თურქმენეთისათვის უნდა გადაიტვირთოს 9 ათასამდე ტონა პროდუქცია, მაგრამ აჭარაში ჯერაც არ მიუღიათ ამისთვის საჭირო რეკვიზიტები, არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებს ამ სახელმწიფო დავალების შესრულებას.

რა ხდება?

აღარ მოვყვები რეზოლუციების, გადაწყვეტილებების, დეპეშების რა კორიანტელია დაყენებული მარტო გასული ერთი თვის მანძილზე იმისათვის, რომ აჭარაში მოწეულ დოვლათს ნამდვილი პატრონი გამოსჩენოდა სახელმწიფოებრივ დონეზე. რომ იტყვიან, გაცვდა ენაც ქაღალდიც, ნერვებიც, პრემიერ-მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, თვად აჭარის ხელმძღვანელობამ თითქმის ყველაფერი გააკეთეს ამ დოვლათის მისაღებად და გადასატვირთად, მაგრამ, ისევ ჩვენი ზოგიერთი სტრუქტურის, განსაკუთრებით კი რკინიგზის ბიდოვლათობის გამო, ლამის არის ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

ჯერ ითქვა, რომ „სნგ"-ში შემავალი ქვეყნების რკინიგზის დეპოები უარს აცხადებენ ჩვენი რკინიგზისათვის რეფრიჟერატორული სექციების იჯარით გამოყოფაზე, ჩვენში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის, აგრეთვე. ამ ქვეყნებთან საბანკო ანგარიშსწორების შეზღუდვის გამო, შემდეგ გადაწყდა, რომ თავად ტვირთგამგზავნები დაუკავშირდებოდნენ ამ დეპოებს აღნიშნული სექციების არენდაში მისაღებად. ბოლოს, გამოინახა კიდეც რეფრიჟერატორული ვაგონების ცნობილი დეპო — „პოდმოსკოვნაიაც", დადგინდა პირობებიც, მარშრუტიც, რომელიც ითვალისწინებდა ბათუმიდან და ფოთიდან — ნოვოროსიისკსა და ტოგანროგში ზღვით, ხოლო იქიდან პროდუქციის გადაზიდვას დანიშნულების მიხედვით. შეთანხმდა ფასებიც, ე. წ. „დანამატებიც"...

ბათუმელები დატრიალდნენ, პარტნიორებიც იშოვეს, ხელშეკრულებებიც გააფორმეს, სექციები ჩამოიყვანეს, დატვირთეს და პირველი სექცია გამოუშვეს კიდეც. მაგრამ მოხდა ისე, რომ თბილისში, 13 დღე-ღამის განმავლობაში, გააჩერეს 102 ტონა მალფუჭადი ციტრუსით დატვირთული სექცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ ითხოვდნენ ტვირთგამგზავნების აუცილებელ ჩამოსვლას თბილისში და ტვირთის სათანადოდ „გაფორმებას".

თავად აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩარევა დასჭირდა იმას, რომ ეს სექციები 13 დღის შემდეგ დაძრულიყო ბაქოს მახაჩკალის მიმართულებით, რომელზეც ადრე, რკინიგზელთა ხელმძღვანელობის მტკიცებით, თითქოს შეწყვეტილი იყო მოძრაობა.

არ ვიცი, ისევ ჩვენი ბიდოვლათობის გამო, რა ბედი ეწევა გონიოს აგროფირმის ამ 102 ტონა მანდარინს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თუ ეს ამდენი ნაჯაფარი გადასაყრელი შეიქნა, ამის საფასური იმ პასუხისმგებელ პირს უნდა დაეწეროს, რომელიც რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავალების მიუხედავად, კვლავაც დაჟინებით „ეპატიჟება" აჭარლებს თბილისში ტვირთის „გასაფორმებლად", წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სამტრედიაში გაჩერებითა და დალპობით იმუქრება.

ერთი სიტყვით, ამას სპეციფიკურ ენაზე, ე. წ. „საციტრუსო კამპანიისათვის" სარკინიგზო ბლოკადის გამოცხადება ჰქვია. ეტყობა, აქ მარტო „გაფორმება-აღებმიცემობაზე" არ არის საქმე. ბათუმში იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ზოგიერთი ხელმძღვანელი უკმაყოფილოა ბათუმის რკინიგზის კვანძში ამას წინათ წესრიგისა და კანონიერების აღდგენის მიზნით, აჭარის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული საკადრო ცვლილებებით.

— კი მაგრამ, — იტყვით თქვენ, — მანდარინი აქ რა შუაშია?

ჩვენც მანდა ვართ, და ამიტომაც, ვეკითხები რკინიგზელებს:

— ეგებ სჯობდეს, ჯერ მანდარინსა და ქვეყანას მივხედოთ და მერე „ვაფორმოთ" და ვარკვიოთ ჩვენი ურთიერთობანი?

გია ჭელიძე.

ქ. ბათუმი.

ხსოვნა

არისტრახ კაკულია



გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი არისტრახ სიმონის ძე კაკულია.

ა. კაკულია დაიბადა 1906 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში, იქვე დაამთავრა სკოლა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა ხალხის და ქვეყნის კეთილდღეობას და უანგაროდ ემსახურა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მას წლების განმავლობაში ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობები ქუთაისის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს რაიონებში.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ თბილისში დაიწყო მუშაობა კულტურისა და სახალხო განათლების დარგში, უკანასკნელ დროს მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს საკლუბო დაწესებულებების სამმართველოს უფროსად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

არისტრახ კაკულია გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, იყო უაღრესად სპეტაკი და პრინციპული, მოკრძალებული, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მრავალრიცხოვანი მეგობრების გულში.

მეგობრების ჯგუფი.

გოჩა ულუმბელაშვილი

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ შენ ჩვენს შორის აღარა ხარ, სიკეთითა და სიწმინდით სავსე იყო შენი გული, უზომოდ გიყვარდა საქართველო, ამიტომაც იყო რომ პირველი დაძახებისთანავე ჩადექი სამშობლოს დამცავთა რიგებში. დიდი სითბოთი და სიყვარულით გიგონებდნენ ქ. ზუგდიდის მცხოვრებნი. აღარ დაგცალდა, შინ დაბრუნებულ თანამოძმეთა შორის შემოპარულმა გარეწრის ტყვიამ გიმსხვერპლა, დაობლდა ოჯახი, დაობლდა შენი სამი პატარა ანგელოზი.

მსუბუქი ყოფილიყოს შენ გულზე დაყრილი მიწა ჩვენო გოჩა.

სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველო, სადგურ ხაშურის პოლიციის სახაზო ქვეგანყოფილება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, მხატვარი, კულტურის დამსახურებული მუშაკი

იულონ კალაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისია, საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი, საქართველოს სახალხო პარტია, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია), სრულიად საქართველოს საზოგადოება „ხსოვნა" ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ კომისიის წამყვან სპეციალისტს, ღვთისშვილთა კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრს ბატონ იოსებ ლობჟანიძეს მამის

ვალიკო ლობჟანიძის

გარდაცვალების გამო.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

ლელი ბაქარის ასული ხატიაშვილი-ორკოდაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საინვესტიციო ფონდი
ცენტრალური საინვესტიციო კომპანია
CENTRAL INVEST COMPANY
მაღალდივიდენდიანი მომგებიანი აქციები მყარი გარანტიით,
მაღალპროცენტიანი სესხის თამასუქები, სრულყოფილი საფინანსო-საკრედიტო სერვისი,
ვიძლევით კლიენტთა ანონიმურობის სრულ გარანტიას
ერთი აქციის ნომინალური ღირებულება სულ რაღაც 100 000 კუპონია.
აქციების საბაზრო ფასები განუწყვეტლივ მატულობს.
აქციონერთა საყურადღებოდ!
ჩვენი აქციები საუკეთესო საახალწლო საჩუქარია
აქციები გათამაშდება კვარტალში ერთხელ.
გიძლევათ შანსი აქციაში ჩადებული თანხის გასამაგების.
გათამაშდება:
ფულადი მოგებები და ფასიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
აქციათა პაკეტის (ათი აქცია) მფლობელთათვის ყოველი მოგება გაორმაგდება.
წინა გათამაშების შედეგებს და დამატებით ინფორმაციას
შეიტყობთ შემდეგ მისამართზე: თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზირი № 154,
ტელ: 96-02-11, 98-33-07, ფაქსი: 98-92-16.

NO!
პატარების მშობელთა საყურადღებოდ!
გერმანული ფირმა MOLA დაგეხმარებათ უამრავი პრობლემის გადაჭრაში, თუ თქვენ ეწვევით
„უნიფარმის" სააფთიაქო მაღაზიას
(კულტურის ცენტრი რესპუბლიკის მოედნის ქვეშ)
0-დან 18 თვემდე ბავშვების ერთჯერადი საცვლები
საიმედო და პრაქტიკულია.
MOLA და „უნიფარმი"
კომფორტს შეგიქმნიან
თქვენც და თქვენს პატარებსაც.

YES!

ყურადღება!
ქ. თბილისის რუსთაველის გამზირის № 1
(უნივერმაღ „თბილისის" პირდაპირ) მდებარე
ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიაში გაიხსნა მინის
ტარის მიმღები პუნქტი სადაც თბილისში
ყველაზე მაღალ ფასებში
თქვენგან შეისყიდიან შამპანურისა და არყის
ხრახნიან ბოთლებს.
შამპანურის ბოთლს 1100 კუპონად, ხოლო
არყის ხრახნიან ბოთლს 1000 კუპონად.
ბოთლები ხაზურველია იყოს გარეცხილი.
დაინტერესებულები ვართ პირველადი
ბოთლების შეძენაში.
ტელეფონი: 93-16-94

გიწვევთ კურსებზე
საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას:
1. მკურნალ მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე.
2. საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე.
კურსდამთავრებულებს ენიჭებათ სპეციალისტების
ცენზი და ეძლევათ შესაბამისი დიპლომი,
რომლითაც მათ შეეძლებათ იმუშაონ უცხოეთშიც.
სწავლა ფასიანია.
მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ:
ვაჟა-ფშაველას № 16, XII სართული, 1213 ოთახი
ტელ: 37-96-49, 10-დან 15 სთ-მდე,
37-30-59, 10-დან 20 სთ-მდე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს გთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებთ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს; თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
ინდექსი 65134